

მწყემსი

მწყემსი კეთილმან სული
თვისი დაჰსდის ცხოვართათვის
იონ. 10—11.

№ 1—2

1883—1910 წ.

30 იანვარი

ზ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განყოფილება: 1 ოქტომბერი 1883 წ.—1 იანვარი 1910 წ. რედაქტორი დეკ. დ. ლაბა-შიძე.—საქართველოს ახალი ექსარხოსი არხივისკოპოსი ინოკენტი.—სახარება მათესი თავი მეოთხე,—დიდი მწყემსი (მოთხრობა წმიდა იოანე ოქროპირის დროიდან) თარგმანი მღ. ლუკიანოვისა.—ახალი შენობა ქართულ გიმნაზიისა.—ჟურნალ გაზეთებიდან.—ქადაგი.—ილიოდორი.—ქალბატონი უარდროპი.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მცენიერება ქრისტიანობრივ საფუძვლზე და კეთილ-ზნობაზე: სიტვა, თქმული ყვირილის მთავარ მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ეკლესიაში, იოანე ნათლის მცემლის თავის კვეთის დღეს, 29 აგვისტო 1909 წ.—განცხადებანი.—საქირო კალენდარული ცნობანი.

1 ოკტომბერი 1883 წ.—1 იანვარი 1910 წ.

ჩვენ გამოვაცხადეთ ჩვენ ორგანოს პირველ ნომერში 1883 წ. საქვეყნოდ, რომ „მწყემსი“-ს არსებობისთვის ჩვენ არ დავზოგავთ არც გონებას, არც ქონებას და არც ჩვენ სიცოცხლეს“. ღმერთია მოწამე, რომ ყველა ეს ჩვენი აღთქმა და დაპირება მტკიცედ აღვასრულეთ. ოცდა ექვსი წლის და სამი თვის განმავლობაში მრავალი დაბრკოლებანი, მრავალი მწუხარება და ტანჯვა-წვალება გადაგვზვდა,

გულითად მადლობას ვსწირავ ყველა იმათ, რომელთაც ჩვენ მოგვმართეს თანაგრძნობის წერილებით და მაცხოვრის სიტყვებით გვანუგეშებდნენ; ამასთან ეს პატივცემულნი თანა-მომძენი მიცხადებენ სურვილს, რომ „მწყემსი“-ს ჟურნალის გამოცემა არ შევაჩეროთ. ამ სურვილის შესახებ საქიროდ მიგვაჩნია ვაუწყოთ ჩვენ მკითხველებს, რომ ჟურნალის გამოცემის გაგრძელების შესახებ გარდაწყვეტილ არაფრის თქმა არა შეგვიძლია, რადგან თუ ღვთის განგებით ჩვენ დავრჩით

ისევე იმ სამრევლოში, სადაც ღვთისმცემის ვმსახურებდით „რასაკვირველია“ ჟურნალის გამოცემაც გაგრძელდება. მაგრამ თუ ღვთის განგებით გარდაწყვეტილია*) მოშორება ჩემის საცხოვრებელი ადგილიდან მაშინ ყოვლად შეუძლებელი იქნება ჩვენი საყვარელ ორგანოს გაგრძელება და არსებობაც.***) აქვე ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი სიცოცხლეს ხან მოკლე იქნება...

1862 წელში მე ავად ვიყავი თფილისის სემინარიაში მყოფობის დროს. ექიმი ჩემი იყო ყველა ექიმების უფროსი კავკასიაში ბატონი პეტრე ივანეს ძე სობოლშჩიკოვი; ის ამავე დროს იყო სემინარიაში პოპულიარული საექიმო ლექციების მასწავლებელიც. ეს ექიმი განსაკუთრებით ყურადღებას მაქცევდა, რადგან ბეჯითობას ვიჩენდი მის საგნის სწავლებაში. ჩემს ავად მყოფობის დროს მიმიწოდა თავის სახლში ექიმების კრებაში, რომელ-

*) მაშინ დანაკლის „მწყემსის“ ნომრებს უფასოდ გაუზავნით 1909 წლის ხელის მომწერთ

**) ამ შემთხვევაში ოთხი დანაკლის ნომრის მაგიერ კარგ საკითხავ წიგნებს მიიღებენ ხელის მომწერნი. რედ.



თანაც იკრიბებოდნენ იმ დროს ექიმები. აქ ექიმებმა გარდასწყვიტეს, რომ მე ვითომ დიდ ხანს სიცოცხლე არ შემოძლია და მირჩიეს სოფელში წამოსვლა. მე არ მრწამდა მათი წინასწარმეტყველება, რადგანაც სხვა უტყუარი ჩვენება მქონდა, რომ იმ სნეულებით მე არ მოვკვდებოდი. მაგრამ მეტისმეტად გულით შევევედრე ღმერთს და ვთხოვე 60 წლის სიცოცხლე და აღუთქვი მთელს სიცოცხლეში ვემსახურო მას და მის სიმატლეს. ეს იყო სწორეთ მიზეზი იმისა, რომ მე მღვდლად წავედი და ისიც სოფელში. ეს იყო მიზეზი, რომ არასოდეს გამოჩენილი და დიდ ჯამაგირიანი ადგილი არ მი-თხოვია, თუმცა ადვილად შემეძლო მეშოვა ქალაქებში შემოსავლიანი ადგილი. მე ვცხოვრობ აგერ წნ წელი, მაშასადამე წ წელიწადი ზედ მეტი.

ჩემს ქვეყნიურ ცხოვრებაში, საქვეყნოდ და გამოცხადებულად აღვიარებთ ბევრი სიმწარე, ბევრი უსიამოვნება და ბევრი მწუხარება. გამომივ-ლია, მაგრამ ღვთის წყალობით მეტი სიტკბოე-ბა, მეტი სიამოვნება და მეტი სიხარული მიგვი-ღია სიმატლის გამარჯვებით უმართლოებაზე და სიცრუეზე. ვესავ და ვემსახურები ღმერთს და მის სიმა-ტლეს და დღემდის არ დაუგდიავარ უმწეოდ. ამის შემდეგაც სრული იმედი მაქვს ღვთისა, ჩემი სიმა-ტლის და მართლმსაჯული მთავრობისა.

რედაქტორი დეკ. დ. ღამბაშიძე.



**საქართველოს ახალი მესარხოსი არხივის-
ქოპოსი ინოკენტი.**

ქართლ-კახეთის დებუტეტებს თავის მორიგ კრებაზე გადაუწყვეტიათ მისალოცი ტელეგრამის გაგზავნა ახალი ექსარხოსისთვის. ექსარხოსმა ტამბოვის ეპისკოპოსმა სამღვდლოების დებუტატებს გამოუგზავნა შემდეგი დებემა:

„გულწრფელ მადლობას ვსწირავ სამ-ღვდლოების კრებას მოლოცვისათვის. ვთხოვთ მიმიღოთ მეც ეპარქიის მუშაკთა წრეში. მოვალ თქვენთან ქრისტიანულ სიყვარულითა და მშვიდო-

ბით. მწადს მთელი ჩემი ძალი და ღონე ივერიის ეკლესიის საქმეთა მოწყობას შევსწრო და თქვენ-თან ერთად ვიზრუნო სამღვდლოებაზე; უგზავნი მამა დებუტატებს ჩემს კურთხევას; უსურვებ სი-ცოცხლეს „მრავალ ჟამიერ“. დებეშის წაკითხვის შემდეგ ერთმა რუსმა მღვდელმა დაიწყო მღერა „მრავალ ჟამიერისა“ და მას ბანი მისცეს სხვა დე-ბუტატებმაც.

როგორც ისმის ახალი ექსარხოსი თფილისში ჩამოვა ოც იანვარს.

სწორეთ დიდათ ისარგებლეს გაზეთებმა ექ-სარხოსის დანიშვნით და ამ თანამდებობის მოსპო-ბის ხმებით. დარწმუნდით, რომ ზოგიერთ გა-ზეთებს სრულებით არა აქვსთ შეგნებული რა მნიშვნელობა აქვს ჩვენში ექსარხოსის დანიშვნას ან ამ თანამდებობის გაუქმებას. ზოგს ჰგონია, რომ თუ ექსარხოსის თანამდებობა მოისპო და ექსარ-ხოსის მაგიერ მიტროპოლიტი დანიშნა ამით საქ-მე გაკეთდება, ანუ თუ ექსარხოსობა მოისპო და რამდენიმე ეპარქია დაარსდა, რომელნიც სინოდს დაუქვემდებარონ მაშინ უკეთ წავა საქმე. ყველა ამისთანა მოსაზრება სრულებით ფუჭი და უმნიშვნე-ლოა. აქ სალაპარაკოდ გამხდარა ქართველები და ქართველების ეკკლესია, თორემ ყურადღებას არა-ვინ აქცევს თუ როგორ მდგომარეობაშია დღეს ჩავარდნილი საზოგადოდ ჩვენი და რუსების ეკ-ლესია? რუსების ეკკლესიას ხომ ექსარხოსები არა ყავს დანიშნული? და იქაც რომ ექსარხოსები და-ნიშნონ როგორ ფიქრობთ კარგათ წავა საქმე? სრულებით არა. პირველ დროის ქრისტიანებს ექსარხოსები ყავდათ დანიშნული? სრულებით არა, ექსარხოსები ხსენებაში არ იყვნენ, მაგრამ ეკკლესიის საქმე კარგათ მიმდინარეობდა. დავით აღმაშენებ-ლის დროს ექსარხოსობა არ იყო, მაგრამ კრებამ ზოგიერთი ეპისკოპოსები თავის თანამდებობიდან დაითხოვა. ვინც ქრისტიანობას მიიღებს ისინი ყველანი ძმებათ უნდა ითვლებოდნენ. თუ ეს გრძო-ბა იქმნება ჩვენში კარგათ წავა საქმე, თუ არა—ექსარხოსი ვერას იზამს. მაშ ჩვენ უნდა უყურებ-დეთ ქრისტიანები ერთმანეთს როგორც ძმანები, ერ-თი მამის შვილები. თუ ასე ვიცხოვრებთ მაშინ ყოველივე კარგად წარემართება და თუ ესეთი სი-ყვარულობა არ იქმნება ჩვენში, მაშინ ვერც ექსარ-ხოსი და ვერც პატრიარქი სარგებლობას ვერ მო-გვიტანს. ქეშმარიტ ქრისტიანებთაშორის არ არის ურიაობა, სკვითელობა და ელინობა; იქ სუფევს ერ-თობა ძმობა და სიყვარულობა.

დ. დ. დ-ძე.



სახარება მათისი.

თავი მეოთხე
გაგრძელება*)

იესო ქრისტე მოვიდა ქვეყნად ეშმაკის ძალის დასამხობად და დასაათურგნელად, კაცთა გამოსახსნელად მისი ტყვეობისაგან, ხოლო ამისთვის, პირველად ყოვლისა, საჭირო იყო მსახურების დასაწყისშივე შებრძოლება ეშმაკთან, დაძლევა მისი. გამომცდელმა ეშმაკმა, დაინახა რა მოახლოვება თავისი ბატონობის დამხობისა, მოიკრიბა ყოველი ძალა, რომ დასაწყისშივე მოესპო საქმე მისი ბატონობისგან კაცთა ნათესავის გამოხსნისა. აქედან ცხადია, რომ იესოს გამოცდათა განმარტებანი ჩვენ უნდა მივიღოთ — ის განმარტება, რომელიც ამბავს სთვლის ნამდვილ ისტორიულ ამბად, და არა მოჩვენებათ, სიზმრად და სხვა.

იესომ უდაბნოში იმარხულა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე. ეს კაცისათვის შეუძლებელი მარხულობა, აიხსნება მითი, რომ იესო ქრისტე ნათლის დებაში გამხსნეველი ზეციური მამის სიტყვით: ესე არს ძე ჩემი საყვარელი და მოძვეალი მსახურების სიდიადის შეგნებით, იქამდე აღტაცებული და აღფრთოვანებულიყო, რომ სრულიად არუგვრძენია შიმშილი და წყურვილი, მას არა სჭირდებოდა აღარაფერი ნივთიერი. ამისი მსგავსი შემთხვევა იყო ქრისტეს ცხოვრებაში სამარტელ ქალთან საუბრის დროს იაკობის წყაროსთან, როცა ის წაწყმედილი სულის მოძიების გამო, სრულიად აღარა გრძნობდა შიმშილს (იოანე 4, 31 — 34). ორმოცი დღის მარხულობის შემდეგ, იესოს შეეშია, მას მოუხდა გამომცდელი და უთხრა: „შვეთ შენ ხარ ძე ხვთისა, სთქვი, რათა ქვანი ესე ჰურიქშენ.“ (3), თუმცა ეშმაკმა იცოდა, რომ იესო იყო ძე ღვთისა, მაგრამ მაინც სცადა ჩამოერთვა მისთვის ეს ღირსება; მარჯვე დროც იყო ამისთვის. ეშმაკის სურვილი იმაში მდგომარეობდა, რომ იესოს უკუეგდო მოთმინება და საჭიროთ ეცნო პირველსავე შემთხვევაში დაკმაყოფილება ხორციელი მოთხოვნებისა, ხორციელი მხარე სულიერზე მალდა დაეყენებინა. უეჭველია, ამითი შესუსტდებოდა იესოს ღვთაებრივი ღირსება და დაემხობოდა საქმე ჩვენი გამოხსნისა. იესომ უპასუხა გამომცდე-

ლს ძველი აღთქმის საღვთო წერილის სიტყვებით „არა ჰურიით ხალო ცხონდების კაცი, არამედ ყოველთა სიტყვითა, რამეღი გამოგადს პირისაგან ღვთისა (4). მაცხოვარი არა ჩქარობს შიმშილის დაკმაყოფილებას, იომენს მას და ღვთის სიტყვას უფრო მალდა აყენებს სასმელ-საქმელზე. როგორც ღმერთმა ძველს აღთქმაში უდაბნოში მოგზაური დამშეული ურიები განაძლო სასწაულებრივად ჩამოცვენილი მანანით, ისრეთვე ეხლაც შესძლებს გაამტკიცოს შიმშილისაგან შესუსტებული ძალა. ამიტომ ქრისტემაც არ უნდა გამოიჩინოს მოუთმენელობა და არ უნდა იხმაროს სასწაულებრივი ძალა, უთუოდ ხორციელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ეშმაკის პირველმა ცდამ იესოს საცთუნებლად ამაოდ ჩაიარა. ეშმაკმა მეორედ სცადა სხვანაირად ეცთუნებინა იესო ქრისტე. ეშმაკმა წაიყვანა იგი წმიდა ქალაქს იერუსალიმს, დააყენა ტაძრის სართულზე და უთხრა: უკეთუ ძე ხარ ღვთისა, გარდაიდუ თავი შენი ამიერ ქვეყნად, რამეთუ წერილი არს, ვითარამედ ანგელოსთა მისთა დაუბრძანებეს შენთვის და ხელთა მათთა ზედა ადაჰყენ შენ, ნუხსადა წაწსტე ქვას ფეხი შენი (6). ამ გამოცდით ეშმაკს უნდოდა, რომ იესოს სასწაულებრივი ძალა მოეხმარნა ამაო სოფლიურ დიდების მოსახვეჭად და რომ უფრო საბუთიანად მოაჩვენოს თავისი სიტყვები, იმოწმებს საღვთო წერილს, რომელშიაც სწერია, იესოს ანგელოზები აღიყვანენ სულზე და ტაძრის სართულიდან მისთვის თავის გადაგდება არ წარმოადგენს არაფერს სავენებელს. იესომ ეს ცთუნებაც უარჰყო საღვთო წერილისავე სიტყვებით, აუწყა რა ეშმაკს, რომ ის ამაოდ არ გამოსცდის ღმერთს და სასწაულებრივს ძალას არ მოიხმარს ამაო დიდებისათვის. (7).

რადგანაც პირველი ორი ხერხით ეშმაკმა ვერ აცთუნა იესო, ამიტომ სცადა მესამედ, ეს მესამე გამოცდა იყო პირველის ორზე უფრო თავხედი და საძაგელი, აქ პირდაპირ ცხადად გამოჩნდა სურვილი გამომცდელისა. ეშმაკმა უჩვენა იესოს მთელი ქვეყნის სამეფონი, ყოველი იმათი დიდება და აღუთქვა იესოს მათი დამორჩილება, თუ იგი დაეარდებოდა და თავიანთა სცემდა ეშმაკს. (8=9) ესგამოცდაც მაცხოვარმა უარჰყო საღვთო წერილის სიტყვებით და სასტიკად უბრძანა ეშმაკს: წარყედი ჩემგან მართლ უკუნს სატანს, რამეთუ წერილ არს:

იხილე „მწყემსი“-ს № 17—18



უფელს ღმერთსა შესსა თაყვანი სცე მხოფოს და მსახურებდე (10).

თანხმად მათე მახარებლის მოთხრობისა, ეშ. მაკის გამოცდის შემდეგ, იესო წარვიდა გალილიას, რის მიზეზიც იყო იოანე ნათლის მცემლის შეპყრობა. ეს ამბავი მოხდა კარგა ხნის შემდეგ. ნაზარეთში არ დადგა იესო, რადგანაც იქაურებმა არ მიიღეს იგი და დაემკვიდრა გალილიასავე ქალაქს კაპერნაუმში. აქედან ის დადიოდა, ჰქადაგებდა ზეცათა სასუფევლის მოახლოებას გალილიის ზღვის ნაპირებზე; აქ მან მოუწოდა მოციქულებად ანდრიას და პეტრეს, იაკობს და იოანეს. იესო ასწავლიდა შესაკრებელში*), მისი

სახელი და დიდება განითქვა მთელს გალილიაში, მასთან მიჰყავდათ განსაკურნებლად ბევრი ავად მყოფები, რომელებსაც ის ჰკურნებდა.

თავი მეხუთე.

მთაზე წარმოთქმული ქადაგება (თთ. 5—7). ნეტარებანი (1—16). მოძღვრება ძველი აღთქმის სჯულის შესახებ (17—20). ძველი აღთქმის მცნებანი შესახებ შეკვლეობისა (21—26), მრუშობისა (27—30), ცოლქმრის გაყრისა (31—32), ფიცისა (33—37) შურისძიებისა (38—42), მოყვასთა სიყვარულსა (43—48).

*) შესაკრებელი (რუსულიდან თარგმან სახელმძღვანელოებში სწერია სინაგოგა) იყო შენობა საცა ურიანი იკრიბებოდნენ სალოცავად. სჯულის თანხმად, ღვთის მსახურებდა შეწირვა მსხვერპლთა ურიებს უნდა აღესრულებინათ ერთს დანიშნულს ადგილს, საცა იდგა კარავი საწამებელი; შემდეგ კი იერუსალიმში, საცა იყო ერთი ტაძარი ჰეშბარითის ღვთისა; აქ ყოველი ურია სალოცავად უნდა მოსულიყო წელიწადში ერთხელ მაინც. ბაბილონის ტყვეობის დროს ძალიან საჭიროდ გახდა სალოცავად შესაკრებელი ადგილი, საცა სჯულის წიგნის წაკითხვა რომ შემძლებულიყო. ალბათ ამ დროს გაჩნდნენ შესაკრებლები. ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების და მეორე ტაძრის აშენების შემდეგ ჩვეულებად შემოვიდა ღვთის მსახურების რაოდენიმე საწილის ან კერძო ლოცვების შესრულება არა მარტო ტაძარში, არამედ სხვა ადგილშიც, რადგანაც იერუსალიმში წასვლა ბევრისთვის საძნელო იყო. იესო ქრისტეს შობის ახლო ხანებში შესაკრებლები გავრცელებულიყვნენ, მეტის პალესტინაში და მის გარეთაც, საცა კი სტოვებდნენ ურიები. დიდ ქალაქებში შესაკრებლები ასობით ითვლებოდა. შესაკრებელში ურიანი გროვდებოდნენ შაბათობით და დტესასწაულებში, შემდეგ კი კვირის მეორე და მეხუთე ღვთისმსახურებში. შესაკრებელში კითხულობდნენ სჯულის (მოსეს ხუთ წიგნს), წინასწარმეტყველთა, და ლოცულობდნენ. კითხვას თან იმსდევდა განმარტება წაკითხულისა; განმარტებდა ან წევრი შესაკრებლისა, ან ვინმე სხვა. შესაკრებულის მოწყობილება სულ უბრალო იყო. ოთხკუთხიანს ოთახში იდგა კათედრა მკითხველისთვის და სკამები მსმენელთათვის, ცალკე ქალებისათვის და ცალკე კაცებისათვის. კათედრა მორთული იყო ხის ტოტებით და ყვავილებით. კითხვის დროს მკითხველი იდგა, ხოლო როცა ახსნას დაიწყებდა, დაჯდებოდა.

ამ თავში წმ. მახარებელს მოყვანილი აქვს იესო ქრისტესაგან მთაზე წარმოთქმული სწავლა მოძღვრება. დიდია ეს მოძღვრება სივრცითაც და ნამეტნავად აზრითაც! ეს მოძღვრება შეადგენს ახალი აღთქმის არსებას, გვიჩვენებს იესოს სულის სიდიადეს და ქრისტიანობისას.

მათე მახარებლის სიტყვით, იესომ ეს მოძღვრება წარმოსთქვა მთაზე და მჯდომარემ, ლუკა მახარებლის სიტყვით კი იესო გადმოვიდოდა მათთან და დასდგა ადგილს ველსა (ლუკ. 6, 17). ეს პირველი შეხედულობით დიდი გარჩევა—განსხვავება კმაყოფილად აიხსნება იმ მოსაზრებით, რომ იესო ჯერ ავიდა მთაზე, საცა ღამე გაათია ლოცვით, აღიძრია 12 მოციქული (ლუკ. 6, 12—16), მერე ჩამოვიდა მთის თავიდან მთის კალთაზე, საცა იყო უფერო სწორე ადგილი (ველი) და იქ გაჩერდა (დასდგა), შემდეგ, ებრაელ რაბინთა ჩვეულებისა თანხმად, დასჯდა და მჯდომარედ იწყო სწავლა შეკრებილი ერისა. რაოდენიმე ნაწილი ამ მოძღვრებისა ლუკა მახარებელს აქვს მოყვანილი სახარების სხვა-და-სხვა ადგილებში; მითი აიხსნება რომ მათე მახარებელმა სრულიად მოათავსა იესოსაგან სხვა-და-სხვა დროის წარმოთქმული მოძღვრება, ან კიდევ მითი, რომ მოძღვრობის ზოგი-

ერთი ნაწილები იესომ სხვა-და-სხვა ადგილს გაიმეორა მსმენელთათვის. ყოველსავე ექვს გარეშეა, რომ ორივე მახარებლები გადმოქცემენ მაცხოვრის ერთსა და იმავე მოძღვრებას.

ეს დიდი მოძღვრება იწყება ნეტარებით: ნეტარ იუვენს გლახაკი სუღითა, რამეთუ მათი ახს სსსუფეველი ცათა (3). საზოგადოდ, გლახაკი ეწოდება იმისთანა კაცს, რომელსაც საკუთარი არა აქვს რა: არც სახლი, არც კარი, არც ტანისამოსი, არც საქმელი, არამედ ყველგან დადის და მოწყალებას ითხოვს და იმითი სცხოვრობს. აქედან სულიერი გლახაკი, ანუ გლახაკი სულითა არის ისა რომელიც ჰგრძნობს თავისს გულში, რომ მას თავისი საკუთარი არაფერი არა აქვს რა: არც ღირსება, არც სათნოება, არც სამსახური ღვთის წინაშე, არამედ ღვთისაგან მოითხოვს მოწყალებას და მასში სცხოვრობს სულიერად. მაშასადამე, გლახაკი სულითა არს კაცი თავმდაბალი, წყნარი, რომელსაც თავისი თავი დიდად არ მიაჩნია და თუ გინდ კეთილი კაცი იყოს და ბევრი კეთილი საქმე ექმნას, მაინც თავისს გულში მდაბალი არის“ ამ გვარ კაცებს იესო მაცხოვარი ჰპირდება ნეტარებას.

ნეტარ იუვენს მგლჯვარენი გუღითა, რამეთუ იგინი ნუგეშანის ტეჟუჟ იქმნენ. ცოდვების და ცოდვილობის შეგნებას მოსდევს ტირილი და გლოვა მათ შესახებ, გლოვა სულიერი. შედეგი ამ სულიერი გლოვისა ის არის, რომ კაცი ერიდება ცოდვას და ყოველსავე ბოროტებას, ინანებს ცოდვას, ამის გამო მაცხოვარი ამათ აღუთქვამს ნეტარებას.

ნეტარ იუვენს მშვიდნი, რამეთუ მათ დამკვიდრან ქვეყანას!; „დამშვიდება და დაწყნარება კაცის გულისა დადგება ხოლმე შემდეგ ცოდვათა მონანებისა და გლოვისა. მშვიდი კაცი ის არის, რომელიც სრულიად მინდობილია ღვთის ნებაზე, რომელიც მშვიდათ ითმენს ყოველსავე სიფიცხეს, შეურაცხყოფას, არ მიაგებს ბოროტებაზე ბოროტებით, ძალმომრეობაზე ძალმომრეობით, არამედ სიკეთით და ღმობიერებით; ამისთანა აზრის და გულის კაცები, მაცხოვრის სიტყვით, დაიმკვიდრებენ ქვეყანას.

ნეტარ იუვენს რამეჟთა ჰშიოდეს და სწუერადეს სიმაწთისათვის, რამეთუ იგინი განსძდენ. სიმშვიდის მომპოვებლის კაცს სწყურთან და შიან სიმართლე ისე, როგორც ზური და წყალი, სიმართლე არის განმართლება ღვთის წინაშე, ხოლო ვისაც სურს ეს სიმართლე, სურს განმართლება ის ნეტარია.

ნეტარ იუვენს მოწყალებანი, რამეთუ იგინი შეიწყალებენ. მოწყალებანი არიან ისინი, რომლებიც დაეხმარებიან მოყვასს ყველაფრით ყოველს გაქვირებაში, ქონებით, რჩევა დარიგებით. ყოველად სამღვდელო გაბრიელი შემდეგს ამოხს ამ ნეტარების განმარტებაში: „იქნება ვინმემ იფიქროს: რა წყალობა შემიძლიან, როცა მე თვითონ ვარ ერთი საწყალი კაცი, მაკლია საქმელი და სასმელი; თუ ასე იფიქრა ვინმემ, ის თუ მართალია ჰფიქრობს. რაც გინდა ღარიბი იყოს კაცი და საწყალი, მაინც შეუძლიან აღასრულოს მოწყალება. ვთქვათ, შენ ღარიბი და საწყალი კაცი ხარ, გარნა ზოგიერთნი შენზე უღარიბესნი და გაქვირებულნი არიან, თუ ბევრის მიცემა არ შეგიძლიან, ცოტა ოდენი მოწყალება მაინც უყავ; თუ ნივთით არ შეგიძლიან მოწყალება, სიტყვით მაინც უყავ მოწყალება, ესე იგი, შეწუხებულს კაცს ნუგეში ეც, უგნური და უქკუო კაცი დაარიგე და მოაქციე“.

ნეტარ იუვენს წმიდანა გუღითა, რამეთუ მათ ღმერთთა ისიჯან. წმიდანი გუღითა არიან ისინი, რომლებიც საქმე, აზრი, ზრახვა, ზნეობა არის უმწიკველი, უანგარო, რომლებთაც მოიხოვეს სრული სათნოება. ამ გუღით წმიდებს შეუღლიანთ იხილონ ღმერთი—წმიდა არსება.

ნეტარ იუვენს მშვიდობის მყოფელები, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდენ. მშვიდობის მყოფელნი არიან ისინი, რომლებიც ყველასთან მშვიდობით სცხოვრებენ და სცდილობენ ნალადგინონ და განამტკიცონ დარღვეული და შერყეული მშვიდობა კაცთა შორის მშვიდობის მყოფელებს მაცხოვარმა აღუთქვა უდიდესი ჯილდო—წოდება ძედ ღვთისად. რადგანაც ძე ღვთისა იესო ქრისტე მოვიდა აღსადგენად მშვიდობისა ღვთისა და კაცთა შორის, ყოველი მშვიდობის მყოფელი, ამიტომ, არის განმაგრძობე-



ლი ქრისტე ქვეყანაზე. ყოველთ დევნუ-
ლებსქვეყანაზე სიმართლისათვის და იესოს წმიდა
სახელისათვის მაცხოვარი აღუთქვამს ნეტარებას.
(11—12).

დიდი მწყემსი.

(მოთხრობა წმიდა იოანხე თქრთბირის დროიდამ)
თარგმნა.

I

მესამე სატახტო ქალაქი რომის იმპერიის აღ-
მოსავლეთის ნაწილისა, შედარებით ჯერ კიდევ
ახალგაზდა ანტიოქია, სწრაფად იზრდებოდა და
მდიდრდებოდა წლითი-წლობით. მისი მოხერხებუ-
ლი მდგომარეობა დიდ მდინარის შესართავთან
ახლოს, ლამაზი ბუნება, მშვენიერი ჰაერი, გზა ად-
გილი სავაჭრო ქარავენებისა აზიის, ევროპის და აფ-
რიკის შორის—ყველა ეს იზიდავდა მისკენ თავგა-
მოდებულ და მრავალ-ეროვან ხალხს.

ქალაქი იყო გაშლილი მდინარის გასწვრივ
რამდენიმე ვერსის მანძილზე. ბოლოს, ეს ადგილიც
ვერ ეყო. დაიწყეს დასახლება წყალში დიდ კუნ-
ძულზე, სწორედ ქალაქის პირდა-პირ, და იქ გა-
შენდა მეორე, ახალი ანტიოქია.

ქუჩები ამა და იმ ანტიოქიის იყო გაშენებული
სავაჭრო საწყობებით, მაღაზიებით და ქარავსლებით.
მოედანზე იდგნენ სასახლეები დიდკაცებისა, პალა-
ტები მდიდრებისა და დიდი მშვენიერი ტაძრები.
უმთავრესი ქუჩა, რომელიც ქალაქ შუა მიდიოდა
მთელ მის სიგრძეზე, ბრწყინავდა მარმარილოს შე-
ნობების შუქით.

ამ ქუჩაზედ ხშირად თავს—იყრიდა ხალხი,
ერთმანეთში ბაასობდნენ, ისმოდა უდარდელი და
ხმა-მაღალი სიცილი.

ერთი შეხედულობით იფიქრებდა კაცი, რომ
აქ მუდმივი დღესასწაულია და ეს თითქმის ასეც
იყო. ვაჭრობა იზიდავდა ბევრს მოვაჭრეთ და მე-
ხოპალდებებს. აქ იყო ადგილი იმპერატორის ნამე-

სტნიკისა, მისი მაღალი წოდებით: „მფლობელი აღ-
მოსავლეთისა“ იზიდავდა ანტიოქიაში მთელ ადგი-
ლობრივ, სირიის წარჩინებულ პირებს. საუკეთესო
ორატორები აქ იზიდავდა დიდ ძალ ახალგაზდო-
ბას, რომელნიც ოცნებობდნენ ბრწყინვალე სახელ-
მწიფო მოქმედებაზე, ყოველივე ეს იყო მიზეზი
უდარდელი მხიარულებისა, ფულების ფლანგვისა
და მდიდრულად ჩაცმულ დახურულ სვირნობისა.

მცირე აზიაში ანტიოქია იყო განთქმული თა-
ვისი უდარდელი მხიარულებით, და საზოგადოდ
დარდი-მანდი და სუბუქი ზნეობით. ქეიფობის
თავშესაფარად იყო ცნობილი „დაფნა“.

—დაფნა—მხიარულების თავშესაფარი იყო,
იგი—სიცოცხლის ღიმილი იყო, რომლითაც ღმე-
რთებმა დაასაჩუქრეს დედა-მიწა თავის კარგი გუ-
ნების დროს,—ასე ლაპარაკობდნენ თითონ ანტიო-
ქიელები და მოსული უცხოელებიც. აქ თვით ჰაე-
რიც გაჟღენთილი იყო მხიარულებით და ლხენა-
შევებით. საკმარისი იყო შესუნთქვა ამ ჰაერისა—მა-
შინვე შუბლის ნაოჭები იშლებოდა და ღიმილი
ისახებოდა მწუხარე პირი-სახეზე.

და მართლაც, დაფნა იყო მშვენიერი სამოთ-
ხისებური ადგილი, საუცხოვო ქალები დაფნის ხე-
ებისა იძლეოდნენ სასიამოვნო სიგრილეს და ჩრდილს;
იმათში კრელად გამოსჩანდნენ ათასნაირი სხვა და
სხვა ყვავილები; თითოულ ნაბიჯზე მიწანწკარებ-
დნენ შადრევანები. ბრჭყვინავდნენ გამოქანდაკებუ-
ლი სახლები. თითქოს მორცხვად იმალებოდნენ
მარმარილოსაგან გაკეთებული საჩრდილობლები.
შუა ადგილს ამშვენებდა შესანიშნავი ტაძარი
აპოლონისა, იმათებურათ,—პოეზიის ღმერთისა,
უშველებელის მისი სტატუით.

სალამოობით, ძველი დროის საბერძნეთის ღმერ-
თის პატივ-საცემლად, ხალხი დაფნის ქალაში იკ-
რიბებოდა; იქ მღეროდნენ გულის-თქმის ლექსებს,
უკრავდნენ სალამურებს; სუფევდა ნამდვილი გარ-
ყვნილება...

უცებ ყველა ეს დაჩუმდა, თითქოს მოსწყდაო.
დაფნაზედაც და მთლად ანტიოქიაზედაც ჩამოწვა
რაღაც შავი აჩრდილი. ჩამოვარდა ბნელი წინასწა-
რი გრძნობა.

ხალხში ლაპარაკობდნენ, რომ ბნელ შუა-ლა-
მისას, უმთავრეს მოედანზე, აენტო დიდი რაღაც
წინწკალი—ბოროტის მომასწავებელი მოლურჯო



ელვარებით. ამ სინათლეში გამოსჩდა მრისხანე ცეცხლის დედა-კაცი, ველურად თმა-გაწეწილი, უშველებელი დიდი მათრახით ხელში. იმან ქარიშხალის გრიგალივით გაიარა ქუჩებში და ხმაურობით არღვევდა ჰაერს ჩქარი მათრახის ქნევით.

ცრუმორწმუნე ანტიოქელებს სჯეროდათ ეს ლაპარაკი და შეშინებულები ეკითხებოდნენ ერთმანეთს:

—რას ნიშნავს ეს ხილვა? რაიმე უბედურებას ხომ არ მოასწავებს იგი? ხომ არ უქადის ქალაქს რამე საშიშარს?

უბედურობა მართლაც მოვიდა, და უეცრად დაატყდა ხალხს.

დიდი, ძლიერი და ოდესმე მრისხანე რომის იმპერია განიცდიდა ამ დროს ძნელ დღეებს. მისი სიდიადე თითქოს ეცემოდა. რომის ყოფილი მოხელეები, თითქმის ნახევარ ქვეყნის მბრძანებელნი, სხვა და სხვა ხალხებს ბედის გადამწყვეტნი, ოდესმე ასეთი საშიშარნი და მედიდურნი, შესამჩნევად ჰკარგავდნენ მიზიდულობას. ხშირად ხდებოდა ამბოხება, შეთქმულობა კარის კაცებისა, სამხედრო არეულობა, და კეისრები რომის იმპერიისა ერთი მეორეზედ სწრაფად განიდევნებოდნენ მეფობისაგან.

სახელმწიფოს განაპირა საზღვრებთან მოიწოდნენ უცნობი ტომის ხალხნი და ლამობდნენ მათ დაპყრობას. საჭიროდ ხდებოდა იმათთან პირობის შეკვრა, ფულით თავის დასხნა, კავშირის შედგენა და მათი სამსახურში მოწვევა: შესდგა განსაკუთრებითი დაქირავებული ჯარები. ისინი თუმცა კეთილსინდისიერად ასრულებდნენ სამსახურს, მაგრამ სამაგიეროდ დიდ ფასსა თხოულობდნენ. ესეც აღარ იკმარეს, შეიგნეს რა თავის მდგომარეობა, ისინი აღარ კმაყოფილდებოდნენ ჯამაგირით, და ყოველს მოხერხებულ თუ მოუხერხებელ, შემთხვევაში სცდილობდნენ ახალ რისამე შოვნას, საჩუქარს, ჯილდოს. ეგრეთვე იყვნენ გაქვზებულნი საზოგადოდ ყველა დანარჩენი ჯარებიც. როგორც კი მოახლოვდებოდა იმპერატორის რომელიმე დიდი დღესასწაული, — ჯარი უკვე მოელოდა რიგის გარეშე ფულის დარიგებას.

ასე იყო ეხლაც. რომის იმპერიის აღმოსავლეთის ნახევარს, ვიზანტიას, ეგვიპტეს და მცირე აზიას მართავდა თეოდოსი. თავისი პირადი ღირსებებით თეოდოსი იყო დიდად პატიოსანი კაცი, ნი-

ჭიერი და გამბედავი სარდალი, გონიერი მმართველი და გაფრთხილებული დიპლომატი. სამეფო ტახტი იმან დაიჭირა სრულიად ღირსეულად.

შთამომავლობით ისპანელმა, შვილმა შესანიშნავის რომის მხედართ-მთავრისა და შემდეგ აფრიკის ნამესტნიკისა, თეოდოსიმ ახალგაზდობაშივე გამოსცადა ბედის დაუდგრომლობა. მტრებმა მის მამას დააბრალეს განზრახვა ლალატისა და დასაჯეს, ხოლო თეოდოსი განაძევეს. მაგრამ მისი დიდი ღირსებების გამო მას მისცეს შეძლება ამაღლებულიყო და ოცდაცამეტის წლისას, 379 წელსა, ჩვენ ვხედავთ მას უკვე მმართველად იმპერიის აღმოსავლეთის ნაწილისა, ხოლო შემდეგ — თვით-მყრობელ იმპერატორად.

კერძო ცხოვრებაში თავდაპირილი და საზოგადოდ ყაირათიანი, თეოდოსი ძალიან სცდილობდა შეევესო როგორმე დაცარიელებული სახემწიფო ხაზინა, მაგრამ — ამაოდ. გასავალი სჭარბობდა შემოსავალსა, და სახელმწიფოს ყოველთვის ესაჭიროებოდა ფული. ჯარი, საჩუქრებს დაჩვეული, მაინც თავისას არ იშლიდა, არ აქცევდა ამას ყურადღებას და დაჟინებით თხოულობდა განებივრებას როგორც თავის-ნება ბავშვი. თეოდოსიმ ხშირათ არ იცოდა, თუ როგორ მოქცეულიყო.

აი ეხლაც. დადგა 387 წელი. ხელმწიფის ოთახში დღესასწაულები დგებოდა: უსრულდებოდა ათი წელიწადი ტახტის მემკვიდრეს, არკადის. ამასთანავე სრულდებოდა ხუთი წელიწადი მას შემდეგ, რაც ახალგაზდა ცესარევიჩს მისცეს ტიტული ავგუსტისა (საღმრთოსი).

სასახლის დღესასწაულების გამო უნდა დაერიგებინათ საჩუქრები ჯარისათვისაც. ასე იყო მიღებული და რომ საჩუქარი არ მიეცათ — ეს ნიშნავდა აღედრათ თავის წინააღმდეგ ამბოხება. ამასთანავე ერთი წლის შემდეგ დგებოდა თვით თეოდოსის ათი წლის მეფობის იუბილეი. მაშინ კიდევ ახალი საჩუქრები დასჭირდებოდათ.

დაზოგვის მიზნით თეოდოსიმ გადასწყვიტა თავის იუბილეი ედღესასწაულნა ერთი წლით ადრე, თავის შვილის დაბადების ათ წელიწადთან ერთად. ამ შემთხვევის გამო სალდათებისთვის უნდა დაერიგებინათ თითოთვის არა ნაკლებ ხუთი (ოქროსი) ფულისა. ამასობაში ბევრი ფული შესდგებოდა, ხოლო ხაზინაში-კი არ იყო ფული.

თეოდოსიმ იფიქრა — იფიქრა და გადასწყვიტა დაედო მთელ სახემწიფოზე ახალი დიდი გადასახადი, ხოლო დიდი ქალაქებიდან აეღო შესამჩნევი ფული. ანტიოქიას, როგორც სავაჭრო და მდიდარ ქალაქს, ედებოდა დიდ-ძალი ფული

ანტიოქელები ამით ძალზე უკმაყოფილონი დარჩნენ. იმათ ჯერ კიდევ კარგად არ იცოდნენ, თუ რა იქნებოდა ახალი გადასახადი, რამდენი, ან რაზე, მაგრამ მიინც წინათვე ჯავრობდნენ.

დაღა 29 თებერვალი. დილითვე ქალაქში დაიწყეს სიარული გზირებმა! ისინი მოედნებზე და ქუჩებზე უკითხავდნენ ხალხს იმპერატორის დადგენილებას ანტიოქიის გადასახადზე. გადასახადი იყო დანიშნული ძალიან დიდი. ანტიოქელებს არც კი სჯეროდათ.

— როგორ? რამდენი?

— შეუძლებელია!

უთუოდ გზირს შესცდა.

— ან ჩვენ სწორეთ ვერ გავიგონეთ.

ასე ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, ხელახლა მიზობდნენ სხვა ადგილს გზირებთან და მეორეთ ეკითხებოდნენ. ნამდვილია, რაოდენობა გადასახადისა სწორედ და დასახელებული, ამოდენა ფული არ გაგონილა.

— ეს ხომ აკლებია! — ყვიროდა ხალხი.

ხალხი ერთბაშათ გაეშურა პრეტორიისაკენ იმ ადგილს, სადაც სხდომა ჰქონდათ მმართველს და წარჩინებულ კაცებს. იქ მმართველმა გამოუცხადა ანტიოქიის დიდ-კაცობას ახალი გადასახადი.

რომ გაიგონეს რაოდენობა, იმათაც ეჯავრათ.

— შეუძლებელია! — უთხრეს იმათ მმართველს.

— საჭიროა, — მედიდურად უპასუხა მან.

— არ შეუძლიანთ გადახდა.

— მაშ სახემწიფო ხაზინაც რომ ვერ დარჩება ცარიელი, კეისარს სჭირია ფულები.

— ეგ მართალია—სჭირია, მაგრამ სად არის?

— ეს ჩემი საქმე არ არის. მე შეგატყობინეთ თქვენ ნება კეისარისა, და ჩემის მხრივ ამას შემიძლია დაუმატო მხოლოდ ერთი: „ჩვენ უნდა ეს ნება შევასრულოთ; და რაც ჩქარა იქნება, მით უფრო უკეთესია.“

დიდ-კაცობა ანტიოქიისა ჩუმათ დაიშალნენ და დაღონებულები წავიდ-წამოვიდნენ.

ქუჩაზე ხალხი შამოეხვია მათ.

— აბა, რა?

— ბრძანებს გადახდას. ეხლა საჩქაროდ დაიწყებს კრფას.

— ეთხოვოს დაცდა, — გაისმა ხალხში. თითონ კეისართან გავგზანოთ. წადით ხელ-მეორედ მმართველთან.

რამდენიმე დიდ-კაცი დაბრუნდა პრეტორიაში; იქ აღარ დახვდათ მმართველი, ის იცნობდა ხალხს, შესწავლული ჰყავდა ფიცხელი სირიელები, და მას არ მოეწონა დაღონებული სიჩუმე წასულებისა.

— იმათ რომ ეხმაურებიათ და კიდევ ეყვირათ ფიქრობდა იგი, თუნდაც ეგინებინათ და მუშტებითაც დამუქრებულიყვნენ, — ის ემოჯობინებოდა. იმათკი ყოველივე გულში ჩაიმაჩხეს. რითი გათავდება ეს?

და იგი გამოვიდა პრეტორიის მეორე მხარედან და გაეშურა ცინესავით გამაგრებულ სასახლეში.

— აქ არ არის მმართველი, — გამოუცხადეს მოსიარულეებმა.

— მაშ წავიდეთ მეუფესთან, მიტროპოლიტ ფლაბიანესთან. დაე, ის წავიდეს მმართველთან და ჩვენ მაგივრად ილაპარაკოს.

ათასეული ხალხის ჯგუფი გამობრუნდა და გაეშურა მიტროპოლიტის სახლისაკენ. მიტროპოლიტი ფლაბიანე იყო კეთილი კაცი, მაგრამ გაუბედავი, სუსტი ხასიათის და მცირე გამჭრიახი.

როდესაც ხალხი მივიდა იმის სახლთან და ბელადებმა მოითხოვეს, რომ ისინი შეეშვათ მწყემსმთავართან, ფლაბიანეს სახლის-გამგემ შეატყობინა ამათ, რომ მიტროპოლიტი ამ ჟამად სახლში არ იმყოფება.

— როგორ თუ სახლში არ იმყოფება? არ შეიძლება. უთხარი ჩვენ ვთხოვლობთ, რომ იმან მოგვისმინოს, თორემ ძალით შევცვინდებით მასთან.

— დმერთს გეფიცებით, არ არის სახლში.

— სად არის მაშ?

— არ ვიცი.

— იკითხე, სად წავიდა.

— არავინ იცის.



—მაშ ასე! — დაღვრემილად ჩაიცინა ეპიმახმა, რომელიც იყო გამგე ნავთსადგურის მზიდავ მუშე-ზისა. დღესასწაულებზე, სიხარულის დროს, ის ჩვენთან არის; ეხლა-კი როდესაც უბედურობა თავს დაატყდა ქალაქს, იგი არ არის სახლში...

ხალხმა შესძახა:

—არა? მონახეთ იგი!

შეშინებული სახლის გამგე მთლად აკანკალდა.

—ბატონებო, დაიჯერეთ, მწყემს-მთავარმა არ იცოდა თუ თქვენ მობრძანდებოდით იმასთან.

—არ იცოდა? — ყვიროდენ ხალხში. იმას უნდა სკოდნოდა, სახლის თავზე გრივალი იკრიფება; მამა-კი მიდის სადღაც, და სტოვებს თავის შვილებს მარტოდ!

ხალხი უფრო მომეტებულად ჯავრდებოდა, და საქმე შეიძლება სამწუხაროდ გათავებულიყო. საბედნიეროდ ვიღამაც ყველაზე ხმა-მალლა დაიძახა:

—წავიდეთ მმართველთან. ჩვენ თითონ მოვთხოვთ მას, რომ გადასდოს ხარჯის აკრეფა.

—მმართველთან! მმართველთან! სასახლისკენ!

ხალხი გამობრუნდა და მღელვარე ნიაღვარივით გამოსწია მდინარე ორონტისკენ. გზიდგან სჩანდნენ იმპერატორის აბანოები, აშენებული კა-ლიგულის მიერ.

ეს აბანოები წარმოადგენდნენ მშვენიერ, საუცხოვო შენობებს: წვრილი მარმარილოს სვეტე-ბი, გამოქანდაკებული სახეები, დიდი სასანთლები დიდი წყლის საცავი აუზები, მთებიდან გამოყვანილი მომდინარე ცისფერი წყლებით. კედლები და-ხატული იყო მხატვრების ხელით. გარშემო ჩარი-გებული იყო ჩრდილიანი ხეები.

ანტიოქელებს საზოგადოდ უყვარდათ ამ ადგილებში ყოფნა, და ამაცობდნენ „იმპერატორის“ აბანოებით. ეხლა აბანოებმა მეტათ მოაგონეს ხალხს იმპერატორი და მით გამოიწვიეს მასში ახალი აფეთქება გულისწყრომისა.

—წავიდეთ დავანგრიოთ აბანოები!

—დავანგრიოთ! წავიდეთ!

ხალხი ველურის ყვირილით მიაწვა და გაეშუ-რა პართენის წყლის ვაკესაკენ. სადაო მშვენიოდენ აბანოები; მოაშორა გზაზე გადაღობებული დარა-ჯები და სულ ერთ საათში შემუსრა ყველაფერი. ბოძები დაამტვრიეს, გამოქანდაკებული სახეები ჩა-

მოყარეს, დიდი სასინათლოები ჩამოგლიჯეს, კედ-ლებს ტალახი წაუსვეს, ხეები მოსჭრეს, დაჰყარეს ერთად და დასწვეს წინანდელი სიმშვენიერის მა-გივრად დარჩა გროვა ნანგრევთა, რომელშიაც ვე-ლურად ყვიროდა, დარბოდა, მღეროდა თედოსესა-თვის სალანძღავ სიმღერებს ბრაზმორეული ხალხი. თითქოს დაავიწყდათ მართველიც და თვით გადა-სახალიც. მაგრამ ეპიმახი, რომელსაც გზაზე შეუ-ერთდა ბევრი მზიდავი მუშა, და რომელიც თით-ქოს გახდა ხალხის წინამძღოლად, ავიდა დამსხვრე-ულ ქანდაკების გროვაზე და დაუყვირა:

—კმარა ეს სიამოვნება! თქვენ გელით საქმე. წავიდეთ მმართველთან!

—მმართველთან! მმართველთან! გაისმა ხმა ხალხში; და ხალხმაც, გაბეგრებულმა რიცხვით შე-მოერთებული ყოველივე მაწანწალებით, გასწია სე-ლევიკიდების სასახლისაკენ, სადაც ეხლა იმყოფებო-და მმართველი.

მმართველმა უკვე იცოდა აბანოების დანგრე-ვა; იცოდა რომ ხალხი იყო მიტროპოლიტ ფლა-ბიანესთან; იცოდა რომ ეხლა მასთან მიდიოდა; მაგრამ იმან არ მოუცადა, უბრძანა დაეკეტათ რკინის მაგარი კარები მალალ ქვიტკირის კედელში, რომელიც სასახლის გარშემო იყო შემორტყმული; თითონ წავიდა სამხედრო ბანაკში, ორანტიის ნა-პირზე, რამდენიმე ვერსის მანძილზე ქალაქიდან.

ერთი საათი გავიდა და ამის შემდეგ, შორიდ-გან მოისმა ხმაურობა, თითქოს შორს ზღვამ დაი-წყო ოხვრაო, ხმაურობა თან-და-თან იზრდებოდა, შემდეგ გამოსჩნდა ჯგუფი ხალხისა.

ერთ ჯვარედინა გზაზე ვიღაც კაცი, რომე-ლიც ტანისამოსით ჰგავდა მღვდელს, სცდილობდა გაეჩერებინა ხალხი:

—ჩემო მეგობრებო! ძვირფასო ძმებო! მოი-ცადეთ ერთ წამს. რას შვებით? დამშვიდდით, ცოტა გონს მოდით. ერთად წავიდეთ მმართველთან, წყნა-რად ვილაპარაკოთ.

ის ხმა-მალლა ლაპარაკობდა, თითქმის ყვირო-და, მაგრამ გაშმაგებული ხმაურობა მრავალ-ათასე-ული ხალხისა აქრობდა მის ხმას; ხოლო თითონ ის პატარა ტანის გამო არა სჩანდა.

—ეგ ვინ არის? ჰკითხულობდნენ ზოგიერთნი.

—ეს—იოანნა, ცნობილი მქადაგებელი, რა-ღასაც ლაპარაკობს.



—იოანნე? მოვისმინოთ: იოანნეს აქვს ოქროს გულიც და ოქროს პირიც. იგი მართალი კაცია და ერთგული მეგობარია ხალხისა. ის გვეტყვის, დაგვარიგებს, როგორ უნდა მოვიქცეთ, წამოგვეყვება ჩვენ მმართველთან.

მაგრამ ხალხი აწვებოდა. უკანანი ავიწროვებდნენ წინ-მყოფთ.

—გაიარეთ! გაიარეთ!

და აღვლვებული ხალხის ღვარი დაუყონებლივ მიდიოდა წინ.

—ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! — შემოიკრა ხელი თავზე ხსენებულმა იოანნემ. რა საშინელებაა, როდესაც ხალხი ჰკარგავს ჰკუას, ითვრება წყრომისაგან, და როდესაც მას სტოვებენ ბედის ანაბარად! რა ვუყო? ხალხს წინ დაუდგე? შევეხვეწო მას? ვერ გავახწევ. რო ვილაპარაკო, არ ესმით, და თუმცა მოისმინონ, ეხლა ხალხი ბრაზიანია, ავითმყოფია. არ უნდა მიეყვანათ იგი აქამდის. ეხლა რაღა? იქნება სისხლი, სისხლი, და სისხლი!..

—უფალო! აღიხილნა იმან ლოცვით თვალეზი ზეცისაკენ. — შენ, რომელმაც შეაჩერე ქარიშხალი ზღვაზე, და უბრძანე ქარს ჩადგომა, დაამშვიდეს აღვლვებული ნიაღვარიც. აპატიე ამას და იმათაც, ვინც ააქაფა იმის ზვირფები. ნუ მისცემ სიერცეს ხალხის უგნურებას. და თუ მიუშვი ბოროტი ნებას დაღუპება თავისავე ბოროტებისაგან, მაშ მასწავე მე, მომეც მე უძლურს ძალა, რომ შევეცვალო ბოროტება ხალხისა იმისავე საკეთილოდ. როგორ მოვექცე, რომ შენი წმიდა ნება იყვეს, ვითარცა ცათა შინა ეგრეცა ჩვენში, პატარა დედა-მიწაზე, ჩვენს უგნურ, დაუღვეარ და წამხდარ ანტიოქიაში.

.იოანნემ დაიჩოქა, ქვითინით მოეხვია მახლობელ სახლის ბოძს, დიდ-ხანს და მხურვალედ ჩურჩულებდა ლოცვის სიტყვებს:

—უფალო! მასწავე!.. ჩამაგონე!.. განმამტკიცე... მომეცი ძალა!.. მიმიღე მე მსხვერპლად ამ საწყალ და უგნურ ჩემი ძმებისათვის... საჭიროა ტანჯვა? მე ვიკისრებ. სიჭიროა იქნება ჩემი სიკვდილი? მე მივიღებ მას, როგორც მოწყალეობას... გამომიციხადე მე შენი ნება. შემეწიე აღვასრულო იგი! ანტიოქიელები-კი ჯგუფად მიდიოდნენ და მიდიოდნენ უმთავრესი ქუჩით და ვერ ამჩნევდნენ კუთხის შესახვევში მარტოოდენკაცს, რომელიც ცრემლმორეული მიჰკროდა ცივ მარმალილოს.

მეამბოხეთა ჯგუფი მივიდა მმართველის სასახლესთან. ალაყათის კარები დაკეტილი დახვდათ.

—გააღე! — ყვიროდა ჯგუფი. — ჩვენ გვინდა ვინახულოთ მმართველი, იმან გამოგვიცხადა ჩვენ ნება იმპერატორისა, ეხლა დაე იმან მოისმინოს ჩვენი თხოვნა და მოახსენოს იგი იმპერატორს.

—მმართველი არ არის სახლში, მიუგეს ყარაულეებმა სხვილი რკინის ლოპის გადაღმიდან. ის წავიდა დაფნაში.

—აა! ბოროტის მომასწავებელის ხმით შესძახა ხალხმა. — ისიც არ არის სახლში! არავინ არ არის! გააღე კარები, ჩვენ მოუცდით მმართველს გალავანში.

ყარაულეებმა ხმა არ გასცეს.

—გააღე! — გაისმა უფრო კიდევ მძვინვარე ყვირილი. — ყარაულეები მაინც კიდევ ჩუმათ იყვნენ. ხალხი გაბრაზდა.

თარგმანი მდ. ჯუკიანოვის მიერ.

სანთლის ძარხნები და სამღვდლოება

აღნიშნულს სათაურით „დროების“ მე-268 ნომერში დაიბეჭდა ბ-ნ ახელის წერილი ქართლ-კახეთის მომავალ სავაჭარქიო კრების საყურადღებოდ. ავტორი შეეხა ქართველ სამღვდლოებისათვის საჭირ-ბოროტო საკითხს: „რ-ზომით შეიძლება მოისპოს ქურდობა საქართველოს საეკლესიო სანთლის ქარხანებში“? ასეთ ზომად ბ-ნი ახელი სახავს „გირაოიან“ ბაზინადრის (ზედამხედველის) მოწვევას და „გირაფოს“ კვალად ხაზინადრის ხელში ერთ ქამიერად თანხის შეხლუღვას. მაგრამ ბ-ნი ახელი თვით ჰგრძნობს, თუ რამდენად სახიფათოა საზოგადო ასპარეზზე ნაყოფიერ სამუშაოდ მოწოდებულ თანამდებობის პირთა ასეთი ნივთიერი გაცენზიანება. ამიტომ თვითონ ისწრაფის დაგვამშვიდოს მით, რომ

„სანთლის ქარხანა კომერციული დაწესებულობაა და, მაშასადამე, ქარხნისადმი უფრო ღირსეული ის არის, ვისაც შეუძლიან რამენაირად უზრუნველყოფონ იგი ჩვეულებრივ ფლანგვისგანა და გირაოთი დაამყაროს ქარხნის პატრონები“. ახელის აზრით „საკმარისია ქარხნის ხაზინადარი იყოს საშვალლო განათლებისა, ორი ენის მკოდნე და უსათუოდ გირაოს მქონე“...

თუმცა ბ-ნი ახელი გვარწმუნებს, რომ მან „საკმარისად შეისწავლა“ საკითხი შესახებ სანთლის ქარხნებში ქურდობის მოსპობისა, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ დავეთანხმებით იმაში, ვითომ ერთად-ერთ გარანტიას სანთლის ქარხნის გაფლანგვისათვის უზრუნველ ყოფისას შეადგენდეს მის მიერ წამოყენებული ხაზინადრის „გირაო—მაქსიმუმი: სამი ათასი მანეთი“. ვერ დავეთანხმებით იმაშიაც, თითქოს სანთლის ქარხნის, როგორც „კომერციულ დაწესებულების“, წარმატებისათვის საკმარისი იყოს მხოლოდ და მხოლოდ ხაზინადრის ალაგმვა... იმავე „გირაოთი“. არც მხოლოდ „საშვალლო განათლება“ და „ორი ენის ცოდნა“ უშველის საქმეს.

რამდენათაც ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს ქართლ-კახეთის საეპარქიო სანთლის ქარხნის ვითარება, იმდენად დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თუ ქარხნის ზედამხედველი ან მმართველი, რომელნიც არსებულ წესით რიგ-ობით(ნახევარ წლობით თითო) ასრულებენ ხოლმე მის ხაზინადრობას, განათლებასთან ერთად მოკლებულნი იქნებიან მკვიდრ ზნეობრივ სიფაქიზეს, თან პრაქტიკულ საქმიანობის ნიქს და უნარს, მათ პიროვნობაში შეზრდილ-შესისხლ-ხორცებულს, იმ შემთხვევაში ქარხანას ვერ უზრუნველ ჰყოფს გაფლანგვა-დაზარალებისაგან ვერც ხუთასი თუმნიანი „გირაო“. ეს იმიტომ, რომ ზედამხედველიც, მმართველიც და მესამე წევრიც აქტიური ქარხნის მამოძრავებელი პირნი არიან. მათი ფორმალური-ბზუროკრატიულ დარიჯაკში ჩამოყალიბება ყოველად შეუძლებელი და არა სასურველია, ვინაიდან სანთლის ქარხნის წარმოებას, როგორც ყოველ „კომერციულ“ საქმეს, აქვს ისეთი მხარეები, თანა სდევს ისეთი შემთხვევები, რომ თუ ზედამხედველი ან მმართველი პატიოსნება გადაუდგება, ისინი ერთ დღეს აინა-

ზღაურებენ „გირაოსაც“ და თან ორ გირაოს ოდენასაც საგზოდ გაიყოლებენ. ადვილი სათქმელია, რომ „ქარხნის ხაზინადრის განკარგულებაში არ იყოს ერთეულიერად 1500—2000 მანეთზე მეტა“, როდესაც არის ხოლმე შემთხვევები, რომ იმის ხელში იყრის თავს დიდ-ძალი ფული, მიუხედავად იმისა, რომ მსხვილ თანხიან ოპერაციებს ქარხანა აწარმოებდა და აწარმოებს სახელმწიფო ბანკის განყოფილების საშვალლებით, რის შემოღებას ახელი ეხლა მოითხოვს. გარნა იმავე დროს ქარხნის მმართველის და ზედამხედველის განკარგულებაში არის აუარებელი ცვილი, სამწვი. გასათვთრებელად გაფენილი თუ გასასყიდად დამზადებული სანთელი, რამდენი სხვა მშალა, ქარხნის ოჯახურ ათასნაირ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ყველა ამაში შეიძლება სისტემატიურ ბოროტ-მქმედების ჩადენა ისე, რომ ეგრედ წოდებულმა „კონტროლნი კომიტეტმა“ დიდხანს, შეიძლება სულაც ვერა გაუგოს რა. ჩვენ მეტად მიგვაჩნია იმ ოინების აქ ჩამოთვლა, რომელნიც შესაძლებელია მოახდინოს სანთლის ქარხანაში „ხერხიანმა“ კაცმა...

ამიტომ ჩვენი რჩევა მომავალ კრების დეპუტატებისადმი ის არის, რომ სანთლის ქარხანაშიაც და სხვა სასულიერო დაწესებულებაში საიმედო, ზნეობრივად მტკიცე ხასიათის და ინციატივის პირნი აირჩიოს. გარნა ამისათვის საჭიროა, რომ თვით საეპარქიო კრების შენადგენობა იყოს ხოლმე უფრო დარბაისელი, საქმეში ჩახედული, აწინდელ დრო. ჟამის და ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა საფუძვლიან ანგარიშის მიმცემელი, ეროვნულ ეკლესიის შელახულ უფლებათა მედგარი დამცველი, ვიდრე დღემდის ყოფილა და არის. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს დღეს ის გარემოება, რომ ეს ერთი ხანია ქართლ-კახეთის საეპარქიო კრებაზე დეპუტატები იგზავნიებიან ერთგვარ არა სასიამოვნო ბეგარის მოსახდენად სასულიერო მთავრობის წინაშე. ეს უკანასკნელი თხოულობს დეპუტატის არჩევას, მაშასადამე ვინმე უნდა გაიგზავნოს, რომ განკარგულება შესრულდეს. ამიტომ არის ქართველ სამღვდლოების ერთი და იგივე საბლალოჩინოების ყოველ წელს სხვა და სხვა პირებს ჰგზავნიან საეპარქიო კრების დეპუტატებად. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ სხვა ეროვნებათა საბლალოჩინოები ერთს და იმავე გამოცდილ პირებს ჰგზავნიან იმავე

კრებაზე როდესაც ამათი დარაზმული დეპუტატები შეთანხმებულად მოქმედებენ და თავიანთი სურვილი, ხშირად უკანონო და საზოგადო საქმისთვის საზარალო გაჰყავთ კრებაზე, ქართველი დეპუტატები დაქსაქსულნი, ხშირად პირად ინტერესებით გატაცებულნი და რაღაც საბედისწერო ბურუსით გონება დაბნელებულნი, ერთმანეთს სწეწენ და სჯიჯგნიან ქვეყნის საუბედუროდ და შესარცხვენად!

ქართველი რის ქართველია, მღვდელი იქნება იგი ვრი თუ ბერი, რომ თითვეულმა საკუთარი „პროგრამა“ არ აწარმოოს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენი სასულიერო უწყება. აქ ზოგიერთი გადღაებული სასულიერო პირი, კრებაში თუ კრების გარედ, უფრო კი დურმიშხანულად, საზოგადო საქმეებს თავის გემოზე საკუთარ ინტერესების მიხედვით ატრიალებს ხოლომე. ეს ჩვენი, „მანასეები“ ძლიერ გაოსტატდენ ამ ბოლო დროს მაინც. ესენი ერთი საქმიდგან მეორეზე ისე მარდად გადადგადმოდინ, რომ ორივე მხარე მადრიელი ჰყავთ—გარეულიც და შინაურიც: პირველნი—თავიანთ „კეთილ-საიმედოობით“, მეორენი—ვითომდა „ლიხუნჩაგ-დიპლომატობით“! კრება, რის კრება, როდესაც უამათოდ საქმე მაინც არ გადასწყდება!..

ეხლანდელ კრებას მაინც ვურჩევ შემდეგს: საეპარქიო კრების მოწვევის დრო მოითხოვონ უფრო მარჯვე, როდესაც სასწავლებლებში სწავლა შეწყვეტილია, თორემ, ბევრი, ცოტად თუ ბევრად მომზადებული, ტფალისის თუ პროვინციალურ დაბა-ქალაქების სამღვდლო პირნი, „გაკვეთილების“ მიზეზით, გაურბიან საეპარქიო კრებებში მონაწილეობის მიღებას. ასეთი დრო არის იენისას პირველი ნახევარი. მაშინ კრების განკარგულებაში უფრო მეტი დროც იქნება, ვიდრე ეხლა აქვს და უფრო მეტი მომზადებული დეპუტატები ეყოლება, რომელნიც კრების დადგენილებებს თავს მაინც მოუყრიან და პროტოკოლებში ჩაიტანენ. საჭიროა აგრეთვე კრებამ საქმით მოითხოვოს და გადასინჯოს თავისი წინანდელი დადგენილებანი, ასრულებდა მათ ვინმე თუ არა, ან რა ამბავია იმ დაწესებულებაში, სადაც მას (კრებას) თავისი წარმომადგენელი ჰყავთ.

ერთი რჩევა: როდესაც დეპუტატები ვინმეს „შემოსავლიან ადგილზედ“ ირჩევენ, მაშინ „ნა-

თლიმამობით“ და „მიპატიჟ-მოპატიჟებას“ თავი ანებონ. ეცადნენ ღირსეული პირნი მონახონ ასეთები მოიპოვებინ ჩვენს სამღვდლოებაში, მაგრამ მათ არ ეხერხებათ თავიანთ თავზე ყვირილი და საარჩევნო ინტრიგების გაწევა. შენიშნულია, რომ ის პირნი, რომელთაც ოდესმე გაუფლანგავს სამღვდლოების საზოგადო ფული, თითქმის სულ ყველანი მოხერხებით და ბნელი საშვალელებით აყვანენ კრების მიერ არჩეულნი. ბარემ არჩევნების შემდეგ თითვეული დეპუტატი ცალ ცალკე დარწმუნებულნი იყო ასეთ პირთა უვარგისობაში და მტაცებლობაში, მაგრამ გვიანდა იყო თითზე კბენანი, „არჩეულნი“ უკვე შესული იყვნენ „ბოსტანში“... „დროება“

ახალი შენობა ქართულ გიმნაზიისა.

ათი წელიწადია, შეუდგნენ ქართულ გიმნაზიის ახალ შენობის აგებას, მაგრამ იმის დამთავრებას არა ეშველა რა. ამ გაქიანურების გამო შენობას ბევრად იმაზე მეტი ფული მოუწია, რაც სხვა პირობებში მოუწიებოდა. თუ იმის შემდეგაც საქმეს არაფერი ეშველა, სარგებელში დიდ-ძალი ფული წავა.

ჩვენი მკითხველებისთვის, ექვი არ არის, საინტერესოა ის, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ახალ შენობის დამთავრების საქმე. გამგე კომიტეტის მიერ გამოცემულ ანგარიშში დწვრილებითი ცნობებია მოთავსებული.

ამ წლის პირველ იანვრამდე დახარჯულა:

ადგილის შეძენაზე	21.002 მ.	15 კ.
თვით შენობაზე	631.753	„ 55 „
ვალების სარგებლების მოშორებაზე	43.949	„ 45 „
სესხების ხარჯზე	991	„ 58 „
სათავად-აზნ. ბანკის გრძელ და მოკლე ვადიან სესხების სარგებლის მოშორებაზე .	39.187	„ 25 „
სათ.-აზ. ბანკ. თავნი ვალში	10.416	„ 22 „
გერბის ქალაქში	1.500	„ —
დაზღვევაში	612	„ 95 „
დაშვებულ მუშებში	835	„ 55 „
გირავნობის ფურც. განაღდ. დაკარგა	76.915	„ 60 „
სულ	827,463	„ 60 „



ეს ფული ნაშოვნია:

შემოწირულება	151.422 მ.	98 კ.
თავად-აზნაურთაგან	100.979 „	73 „
თავად-აზნაურთა ბანკიდან	71.761 „	03 „
საერთო თანხიდან	12.600 „	39 „
მასალის გაყიდვიდან	3.846 „	20 „
სტიპენდიების ფონდებიდან	16.000 „	00 „
სესხები ბანკში და კერძო პირთაგან	472.908 „	53 „
% სახელდახელო ანგარიშებისა	76 „	80 „
სულ	829.595 „	66 „

ამ წლის პირველ იანვრისათვის შენობაზე ვალი იყო:

სათ. აზნ. ბან.	439.593 მ.	78 კ.
ამავე ბან. სავალდებულო გადასახ.	16.860 „	42 „
სამეურნეო ბანკის	63.926 „	00 „
სასტიპენდიო ფონდის	17.676 „	61 „
აზოგო-დონის მუხრანსკის ვექს.	3.500 „	00 „
სულ	641.546 „	21 „

ამ რიგად, დღეს შენობაზე ვალად არის ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი. გამგე კომიტეტი თავის მოხსენებაში, სხვათა შორის, სწერს.

„ამ წელიწადს შესრულდა ათი წელიწადი, რაც გამგე კომიტეტი სკოლის შენობის საქმეს აწარმოებს განსაკუთრებულ კომისიის შემწეობით, რომლის თავმჯდომარეა ნ. ზ. ცხვედაძე და წევრნი არიან: ვ. ი. ყავერიშვილი და ს. გ. კლდიაშვილი. ამ ხნის განმავლობაში ბევრი დაბრკოლება შეხვდა წინ, ბევრი სიძნელე გამოვიარეთ, მაგრამ, როგორც იყო, სახლი დავამთავრეთ, თუმცა კი სრულიად არა...“

„კომისიამ შენობა მოიყვანა იმ მდგომარეობაში, რომ წელს სკოლა უფრო კარგად იქნება მოთავსებული, ვიდრე წარსულ წლებში. მაგრამ მაინც შენობის შუა ნაწილი: ეკლესია, გიმნასტიური დარბაზი, საყოველთაო დარბაზი და სასკოლო მუზეი დაუმთავრებელი დაგვრჩა. ინსპექტორის სახლის და საავადმყოფოს აშენებას ხომ არც კი შეედგომივართ. აგრეთვე ელექტრონულ განათების მოწყობაც არ დაგვიწყია. ამ საანგარიშო წელს სახლის შუა ნაწილს და ელექტრონის მოწყობასაც გაეთავებდით, რომ ერთ მოულოდნელ გარემოებას ხელი არ შეეშალა. წარსულ წელს გამგე კომიტეტი სთხოვდა თავად-აზნ. კრებას, შემოღებულ

წესისამებრ, ქართულ გიმნაზიის შესანახად, სადაც 830 ვაჟი და 60 ქალი სწავლობს, გადაედო 101 ათასი მან. ხარჯთ-ალრიცხვის მიხედვით, მაგრამ თავად აზნაურთა კრებამ შესაძლოდ დაინახა გადაეცა გამგე კომიტეტისთვის მხოლოდ 38 ათასი მ. შემდეგ ამ მოულოდნელ გარემოებისა, გამგე კომიტეტი იძულებული შეიქნა შენობისათვის ნასესხ ფულიდან ეხარჯა გიმნაზიის შენახვაზე; ასე დაიხარჯა 19.380 მან. 38 კ., აგრეთვე დახარჯა 21.320 მან. 45 კ., რომელიც დარჩა სკრის მამულის გაყიდვიდან, თუმცა საზოგადო ძრების დადგენილებით ეს ფული უნდა მოხმარებოდა შენობას.

„ყველა ამას გარდა სამი წელიწადი, რაც ჩვენი გიმნაზია დაბინავებულია ახალ შენობაში და ამ ხნის განმავლობაში არაფერი გადაუდვია გამგე კომიტეტს არც თითონ შენობისათვის, არც შენობის ვალის სარგებლის მოსაშორებლად უფულობისა გამო. რაც უნდა მკირედ ვიანგარიშოთ, ათასი თუმანი ხომ დაჯდებოდა სახლის ქირა წელიწადში, თუ უწინდებურად სახლი ქირით გვექირავდა და, მაშასადამე, სამი წლის განმავლობაში დაუხარჯავდით ამ საგანზე 30,000 მან. აი, ეს ფული რომ გადმოეცა თავად-აზნ. კრებას, ვითომ სახლის საქირავებლად, როგორც წარსულ წლებში იძლეოდა—მაშინ ეს ფული და ზემო დასახლებული ფული—სულ 70,677 მან. 18 კ. საკმაო იქნებოდა, რომ ეხლა დაუმთავრებელი სახლის შუა ნაწილი სრულიად დაგვემთავრებინა.“

„ამ წელიწადსაც გამგე კომიტეტმა წარუდგინა თავად-აზნ. კრებას სკოლის ხარჯთ-ალრიცხვა და სთხოვდა გადაედო 87,173 მან. 25 კ. ქართულ გიმნაზიის შესანახად, მაგრამ თავად-აზნაურთა კრება ამ წელსაც შესაძლოდ დაინახავს გადაიდოს გიმნაზიის შესანახად მარტო 60 ათასი მან. და მოუქრა სკოლას 29 ათასი მ., თითქმის იმდენი, რამდენიც საქირო იყო სკოლის სარგებლის შესატანად ბანკში. იმდენიც კი არ გადასდო ამ საქიროებისათვის, რამდენსაც ხარჯავდა ყოველ წელს უწინ სკოლის სახლის ქირაში. ყველა ამ მოულოდნელ გარემოებას მოჰყვა შემდეგი: სახლი დაუმთავრებელი დაგვრჩა და დასამთავრებლად სახლის შუა ნაწილისა მაინც გვექირდება 60,000 მან. და სახლის ვალის სარგებელი 31 ათასი მან. შესატანია ბანკში, და რომ შევიტანოთ, ბანკი სახლს



გაგვიყიდის და ამოდენა შრომა, და ყველას შეწუხება ათი წლის განმავლობაში მუქდად ჩაგვივლის. ახლა რა განძს დავკარგავთ? ხომ ეს საშვილი შვილო საქმე, ეს ძვირფასი განძი არა მარტო მოზარდ თაობისათვის, არამედ მთელ ქართველ ხალხის კულტურულ განვითარებისათვის, მისი ვინაობისათვის გადავარჩინოთ ყოველ-გვარ ხიფათს და ამავე დროს დავამთავროთ, ჯერედ უნდა მივმართოთ ისევე, თავადაზნაურთა კრებას, ვაუწყოთ ყოველივე გარემოება და ვთხოვოთ, დაგვეხმაროს ამ საშვილი-შვილო საქმეში, რომელიც წმიდათა-წმიდა ყველასათვის და მთელ საქართველოსათვის. თუ ვინცობა ამ გზით ვერაფერს გავხდით, მაშინ იძულებული ვიქნებით მივმართოთ იმ გზას, რომელიც ნაწვევებია შენობის დაწყებიდანვე ჩვენი საზოგადო კრებისაგან: გავიმეტოთ და გავყიდოთ საზოგადოების უძრავი მამული ტფილისში, მდებარე განოვის და ველიამინოვის ქუჩაზე და ამით ავიცილინოთ თავიდან საყოველთაო ხიფათი-

„დასასრულ, გამგე კომიტეტი თავის მოვალეობად სთვლის აუწყოს საზოგადოების წევრთ, რომ ამ წელს გაათავა კნენია ელისაბედ ნიკოლოზის ასულმა მუხრანსკისამ აზოვის ბანკიდან გამოისყიდვა ბ. ნ. ზ. კხვედაძის ვექსილებისა, რომლებითაც სკოლის შენობისათვის იყო გამოტანილი ფული განსვენებულის თავ. კონსტანტინე ივანეს ძის მუხრანსკის თავდებობით. წარსულ წლებში გამოისყიდა კნენიამ ვექსილები 35,200 მ. და ამ წელს 2,800 მან., ამ ფულიდან 3000 მ. სასტიბენდიო და დანარჩენი შენობისათვის. ამას გარდა 5000 მ. განსვენებულმა თავადმა კონსტანტინე ივანეს ძემ სიცოცხლეშივე გადმოსცა გამგე კომიტეტს, სულ შემოწირულება 43,000 მ. იშვიათი შემოწირულებაა ჩვენში და ჩვენც მოვალენი ვართ ეს რითმე აღვნიშნოთ შთამომავლობისათვის შემომწირვლის სახსოვრად. ამ წელს გავკრავების დროს: როგორც წასულ წლებში, ხელს გვიმართავდნენ საპატიო წევრნი დავით სარაჯიშვილი და ა. გ. მდივანი. ამათ იმის გარდა, რაც წინად შემოსწირეს, ამ წელს გამოგვიგზავნეს შენობისათვის, პირველმა—600 მან. ხოლო მეორემ 300 მან.“

შურნალ — გზეთიბიდან

ადმოსავლეთი

იაზონიას სამხედრო სამზადისი.

იაზონიას შეუკვეთია კრუპის ქარხნისათვის: 114 ზარბაზანი ორ სავლე ბრიგადის შესაიარებლად, 25 ზარბაზანი, რომელიც პირდაპირი სროლისათვის,

არის მოწყობილი და 15 ციხის ზარბაზანი. ერგარტის ქარხანაში შეუკვეთია 50 ტყვიის მტყორცნელი, ახალი სისტემისა. ამასთან ჰამბურგში როზვეილის ფაბრიკას შეუთვალეს სანიმუშოდ გაუგზავნონ იაპონიას ახალი ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც გაცილებით უფრო ძლიერია მინებსა და ტორპედებზე და ამასთან უფრო პატარა ადგილიც უჭირავს.

იაზონიის სხალი რუქა.

„რუსკ. სლოვოს“ ოდესელი კორესპონდენტი იუწყება: ერთმა სტუდენტმა იაპონიაში მოგზაურობის დროს იყიდა იაპონიის რუქა და ოდესის უნივერსიტეტის პროფესორს ტანფილივეს გადასცა. მთელი დიდ-ოკეანეს რუსეთის სანაპირო იაპონიის ტერიტორიაში არის შეტანილი. იმავე ფერით არის დახატული, როგორც იაპონია. ვლადივოსტოკი, ჩუკოისკის ყურე და კამჩატკა—იაპონიის ფერით არის დახატული. ზედ აწერია: ახალი ადგილები, რომლებიც იაპონიას უნდა დაიპყროს. ოხოტსკის ზღვას აწერია—ეს ზღვა მალე ძალით უნდა დაიპყროს იაპონიამო. ვლადივოსტოკის ახლო ადგილებს აწერია: „გახსოვდეს, რომ, რაც შეგიძენია. შენია, მაგრამ რაც მეტია—საზარალო არ იქნება.“

ეგები ეს რუქა ვინმე მეწვრილმანემ გამოსცა მოგების გულისათვის და გაზეთი „რუსკ. სლოვო“ კი აშობოს, კარგი დამახასიათებელი საბუთია იაპონელების სულისკვეთების შესატყობათაო.

უცხოეთის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ჩინეთის ცენტრალური მთავრობა ძალზე დააფიქრანა უცხოელების მოღვაწევობამ ტიბეტსა და მონღოლიაში. ჩინეთის მთავრობა სცდილობს ტიბეტი და მონღოლია თავის ნამდვილ პროვინციად აქციოს, ამიტომ ეხლა მიმართა სხვა და სხვა ზომებს უცხოელების წინააღმდეგ. თითონ მთავრობას საშვალეა არა აქვს გამოსცეს მონღოლიასა და ტიბეტში გაზეთები და სარწმუნოებრივი პროპაგანდა დაუპირდაპიროს უცხოელების ქადაგებას, მხოლოდ კერძო ბინების პატრონებს აუკრძალა არ მიაქირავონ უცხოელებს თავიანთი სახლები სამლოცველოებისთვის.

ტიბეტის დალაი-ლამა წინააღმდეგია ასიმილიაციის — სამაგიეროდ მისი ლხასელი პრეზიდენტი გომხრეა, რომ ტიბეტი სავსებით ჩინეთის პროვინციად იყოს.

საშთა კავშირი

ამას წინაღუდეგ გაზეთებში ხმა გაერცვლდა, რომ გერმანია სცდილობს იაპონიასა და ამერიკასთან კავშირი შეჭკრას რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ. ესლა, როგორც „რუსკ-სლ.“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, ეს ხმები ნამდვილად მართლდება. ამ კავშირით გერმანიასა სურს შეასუსტოს რუსეთის გავლენა მახლობელ აღმოსავლეთის საქმეებში.

სიკვდილით დასჯა.

იაპონიის სასამართლომ უკვე გაარჩია თავად იტოს მკვლელების საქმე და მიუსაჯა მკვლელს სიკვდილით დასჯა. ბრალდებულის დამცველებმა განაჩენი განასაჩივრეს.

მანჯურიის საკითხი.

გერმანიისა და ამერიკის კონსულებმა განუცხადეს მანჯურიის ვიცე კოროლს, რომ დაღნიზე იმაზე მეტი საქონელი გამოდის, რამდენიც აღნიშნულია საბაჟოს წიგნებში, რომლებიც იაპონელების ხელშია. ფიქრობენ, რომ იაპონიის საქონელს უბაჟოთ უშვებენ მანჯურიაში. ვიცე-კოროლმა ანგარიში მოსთხოვა იაპონიის მხელეებს.

ლონდონში ცნობები მიუღიათ, რომ იაპონიის მთავრობა უკმაყოფილებას აცხადებს იმაზე, რომ ჩინეთმა ხელთ იგდო მანჯურიის პოლიცია და არ შეიწყნარა იაპონიის სრული თავისი საკუთარი პოლიცია ჰყოლოდა ხარბინში. იაპონიის მთავრობას აზრად აქვს პროტესტი განაცხადოს ქალაქში რუსეთის მართვა-გამგეობის წინააღმდეგ.

აჯანყება კორეაში

ვლადივასტოკიდან იუწყებიან, რომ კორეაში მოძრაობა თან-დათან ძლიერდება. კორეელები იარაღდებიან. სეულიდან იაპონიის ორი ბრიგადა გაიგზავნა მოძრაობის ჩასაქრობად. დებუშებსა და ფოსტას უცენზუროდ არ უშვებენ.

ტინბირის გზის მეორე ჯიანდაცი.

შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებლები ომს მოელოდნენ. რუსეთის გაზეთებიც გადმოგვცემენ, რომ იაპონია საომრად ემზადებაო. ტინბირის გზის მეორე ლიანდაგის გაყვანას აპირობდნენ, მაგრამ ომის მოლოდინში ყველა უკან დადგა. ვაჭრობა შეჩერდა. ომის მოლოდინში აღებ-მიცემობაც მოისპო. თუ ასეთი მდგომარეობა კიდევ დიდხანს გასტნს, ბევრი ფირმა გაკოტრდება და მოსპობს წარმოებას.

ქ ა რ ა გ ი

ფინლანდიაში, კუროპოსთან ცხოვრობს ვილაცა ქალი კარულინა, რომელსაც ხალხი წმიდანად სთვლის და რომლის სანახავად ინტელიგენტებიც მიდიან.

ეს ქალი ჰიპნოტიურად ჩაძინებული ძილში ქადაგობს.

კარულინა დილის 4 საათზე დგება, 5 საათამდის თავს კარგად გრძნობს, დადის, ლაპარაკობს. ხუთი რომ დადგება, რაღაც უხილავი და უცნაური ძალა მას ლოგინისკენ იზიდავს, აწვენს და აძინებს...

ჩაძინებული კარულინა თითქმის პირში ისევლებს და შემდეგ ამ თითს ისე ამოძრავებს, თითქო წიგნს ფურცლავდესო; შემდეგ რაღაც უცნაურ, სხვისი ხმით ლაპარაკს იწყებს.

ქალი ძილში დალაგებულ ქადაგებას ამბობს, არჩევს სახარების რომელიმე ნაწილს, საღვთო წერილს უხსნის ხალხს. ვისაც გაუგონია მისი ქადაგება, ყველა აღტაცებულია გაგონილით.

მძინარე ქალთან ექიმებიც მისულან იმის შესამოწმებლად, მართლა სძინავს მას, თუ არა: ქინძისთავით სჩხვლეტდნენ მას, დანით სჭრიდნენ, მაგრამ კარულინას ჭრილობა არც კი უგრძენია, — ლაპარაკი და ქადაგება არ შეუწყვეტია,

ქადაგობს იგი ხოლმე 2 საათს. ხალხი სულ განაბული უსმენს მას, ექვსს ხუთმეტი წუთი რომ აკლია, კარულინა იღვიძებს. სახეზე ოფლი ჩამოდის, თვითონაც ოფლში იწურება. ნალაპარაკევი არ ახსოვს ხოლმე.

კარულინა ამნაირად ერთ წელიწადს ქადაგებდა, ამ წლის მაისამდის. მაისში მან ერთხელ ძილის დროს განაცხადა, მთელი წიგნი უკვე გადავიკითხეო და თავისი ქადაგებაც მოსპო.

უქადაგებლად კარულინამ გაატარა თითქმის სამი თვე. კარულინა დანიშნულ საათს ისევ იძინებდა, მაგრამ ჩაძინებული უხმოთ იწვა, მხოლოდ ხანდახან ვილაც უხილავს ებასებოდა.

ახლა მან ხელ ახლად დაიწყო თავისი ქადაგება, ხალხი მიაწყდა მას. მეცნიერები იკვლევენ ამ საკვირველებას, ხალხი ამბობს — ღვთის სასწაული არისო.



ლუგანსკში თავი მოიწამლა მორფით ადგილობრივ საფერშლო სასწავლებლის მოწაფე ქალმა ს. ფეიფეცმა. საცოდავს, როგორც ეტყობა, ძალიან შესძაგებია სიცოცხლე. ჯერ ერთხელ მოიწამლა თავი, მაგრამ დროზე შეუტყვეს და სიკვდილს გადაარჩინეს. ორი საათის შემდეგ ფეხის ადგილში გავიდა და იქ თავი ჩამოიხრჩო, მაგრამ აქაც შემჩნიეს და სიცოცხლე დაუბრუნეს. ორი დღის შემდეგ რომ გამოკეთდა, მორფი დალია. აქაც შეუტყვეს და საავთმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ, გვიანდა იყო—ორიოდე საათის შემდეგ გარდაიცვალა. თავის მოკვლის მიზეზი გაუგებარი დარჩა.

ილიოდორი

ილიოდორის ვინ არ იცნობს რუსეთში. ეს ბერი უკიდურესი მემარჯვენეა, თითქმის პურიშკევიჩ-მარკოვზედ უფრო მემარჯვენე. მას სძულს, ეჯავრება ყველა არა რუსი, იგი ბერია, მაგრამ მისთვის არა სასიამოვნო პირების დახვრეტას და ჩამოხრჩობას ისე ადვილად მოითხოვს, თითქო ბერი და ქრისტიანიე კი არა, კაცია უფილიიოს.

ეს ილიოდორი ცარიცინში ცხოვრობს და აქ ხშირ-ხშირად ქადაგებს ხოლმე. ეს ქადაგება არა სასიამოვნოდ ურჩება ადგილობრივ პოლიციას, რადგანაც ილიოდორი თავის ქადაგებაში ავინებს არა რუს ერების წარმომადგენლებთან ერთად მდიდრებსაც და ეს მისი ქადაგება თეორიული როდია, იგი ებრძვის მდიდრებს პრაქტიკულადაც, მოიწვევს მუშებს სიტყვა საქმედ აქციონ და მყვლ-ეფელ მდიდრებისგან თავის განსათავისუფლებლად შეკავშირდენ და შეერთდენ.

პოლიციამ ბოლოს ვეღარ მოითმინა და ილიოდორის ქადაგების შესახებ აცნობა სასამართლოს.

მართლაც, როგორ არ შეშინდებოდა, როდესაც ილიოდორის ქადაგების გავლენით უკვე მოხდა ერთი ვაფიცვა, ათი ათას კაცზე მეტმა ხელი აიღო მუშაობაზე.

სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის უფროსმა „გლუბოკაიას“ სადგურის უფროსს დებეშა მისწერა, — „ახლა ბერი საქმეა, ავით ვახდომა აკრძალულია“.

ქ. ნ. ი. უ. რ. ღ. მ. კ. ი.

(წერილი ლონდონიდან)

8 (21) დეკემბერს ცივ სამარეს მივაბარეთ ქართული მწიგნობრობის დაუღალავი მუშაკი და ქართველ ხალხის გულწრფელი მეგობარი ქ. ნ. ი. უ. რ. ღ. მ. კ. ი. იგი გარდაიცვალა ქ. ბუქარესტში მის ძმასთან, რომელიც იქ ინგლისის გენერალური კონსულის თანამდებობას ასრულებდა. შემდეგ ის მოასვენეს ლონდონიდან სულ 3—4 საათის სავალზე პატარა და კოხტა ქ. სევენოკში და იქ დაასაფლავეს მის სახლეულობის აკადამიაში.

დილა ადრეან გავედით მატარებლით ნისლით დაბურულ ლონდონიდან ოთხიოდე ქართველი და ჩქარა ამოვყავით თავი სევენოკში. იქ ძალზე ციოდა, მაგრამ მზის ბრწყინვალე კაშკაში ნათლად გვიშლიდა თვალ-წინ სუფთა და ქოპწია ქალაქის არე-მარეს. ჩვენ მივაშურეთ აღმართ ადგილობრივ საყდარს, რომლის იქვე გვერდში აკალდამა იყო. საყდარი აგებულია ნაცრის ფერ თლილი ქვისაგან და სიძველეს ერთი ორათ გაუმშვენეირებია ის. არ გასულა დიდი ხანი და მიცვალებულიც მოასვენეს. სამგლოვიარო ეტლზე მრავალი ცოცხალი ყვაილების გვირგვინები ეწყო, მეგობრ-ამხანაგებისაგან მიძღვნილნი. ზედ კუბოზე იდვა ცოცხალ ვარდების გვირგვინი, რომლის თეთრ ლენტზე მსხვილი ასოებით იყო ქართულათ ამოქარგული: „საქართველოს მოამაგეს“. დასაფლავება სრულიად სადა და შინაურული იყო. გარდა მოხუც დედისა და ორი ძმისა, იყვენ რამდენიმე სულ მახლობელი პირნი. კუბო ჩაასვენეს უსიტყვოდ და უტრემლოთ. ინგლისელი არაა ჩვეული მისი მწუხარების ცრემლით გამოხატვას, სამაგიეროთ რამდენათ მწვავე და ღრმა უნდა იყოს ის.

განსვენებული ჯერ კიდევ არ იყო ორმოცი წლისა; იგი იყო სპეტაკი და მოსიყვარულე გულის ადამიანი; იგი იყო უწყინარ-უჩინარი და უბრეტენზიო, რაიც მომხიბვლელი იყო მისი მაღალ განათლება-ნიჭის მიხედვით.

უკანასკნელათ ის შეუდგა „ვეფხვის ტყაოსნის“ ანგლისურათ თარგმნას. ჯერ მან გადათარგმნა ეს დიდებული ქმნილება ქართულ კულტურასა პროზათ და შემდეგ შეუდგა მის გალექსვას, მაგრამ დაუნდობელმა სკვდილმა აღარ დააცალა.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია დაუმატოთ ორიოდ სიტყვა ქალბატონ უარდროვის ხსოვნას. ერთ დროს თფილისიდან ჩამოვიდა ქუთაისში ჩვენგანაც კარგათ ნაცნობი ქალბატონი უარდროვი. ჩვენ ვგვთხოვა, რომ ქუთაისში მეჩვენებია მისთვის და მისი დედისა და ძმისთვის, რაც რამ იყო საისტორიო შესანიშნავი. გელათის მონასტრის დათვლიერების შემდეგ წავიყვანე არქიერის გორაზე ბაგრატის ძველი ტაძრის საჩვენებლად. როდესაც გორაზე ავედი, მე ორიოდ სიტყვა უთხარი გაბრიელ ეპისკოპოსს, რომელსაც კარგად იცნობდა ინგლისელი დიდი ნასწავლი არხიეპისკოპოსი და რომელმაც მისი ქადაგებიდან ინგლისურ ენაზე გადაათარგმნა რამდენიმე სიტყვა. ქალბატონმა უარდროვმა მოისურვა მისი ნახვა. მე ცოტახნით ისინი დავტოვე ბაგრატის ტაძრის შიგნივ და უ-დ სამღვდლო გაბრიელთან წავედი და უამბე ამ მოგზაურთა ამბავი და სურვილი, რომ მათ სურსთ მისი ნახვა. უ-დ სამღვდლომ მითხრა, რომ არ შეუძლია მას ელაპარაკოს მათ უცხო ენაზე. მე მოვახსენე, რომ ქალბატონმა უარდროვმა იცის ქართული ენა და ძმამაც ცოტაოდენი რუსული და ადვილათ შეუძლია მათი მიღება და მათთან ლაპარაკი. უ-დ სამღვდლო გაბრიელმა მწუხარება გამოსთქვა, რომ არაფერი აქვს, რომ მისცეს მათ სახსოვრად. ამ დროს მე გარდავეცი პატარა მედალიონები წმიდა ნინოსი, რომელიც მოსკოვში დავამზადებინე ყვეოთელ თითბერზე ოქროს ფერადით ასი ცალი მივართვი მას, რომ საჭიროების დროს მათ მეუფეებას ეჩუქნა სხვებისთვის. მართალია ეს პატარა ხატები ძვირფასი არ არის, მოვახსენე მათ მეუფეებას, მაგრამ თქვენგან ნაბოძები ეს პატარა ხატები წმიდა ნინოსი ძვირფას საჩუქრად მისაჩნეველი იქნება ყველასათვის მეთქი.

ეპისკოპოსიდან დეაბრუნდი ბაგრატის ტაძარში. აქ, რაც შესაძლო იყო, გავაცანი ისტორიული მოთხრობა ამ შესანიშნავ ტაძარზე. ძლიერ გააოცა ტაძრის გეგმამ ეს უცხოელები. შემდეგ წავიდენ მათ მეუფეებასთან. უ-დ სამღვდლო გაბრიელმა მილო ქალბატონი უარდროვი და შემდეგ სასიამოვნო საუბრისა და გამოთხოვებისა, აიღო ნინას პატარა რვეალი ხატი, მიმართა ქალბატონს უარდროვს შემდეგი მოკლე სიტყვით: „დიდათ სასიამოვნოა

ჩემთვის ყველა ის; რასაც ვკითხულობ გაზეთში თქვენ შესახებ. ქალი იყო მოსული შორე ადგილიდან, რომელმანაც მეოთხე საუკუნის დასაწყისში გაავრცელა ქრისტიანობის სარწმუნოება ჩვენ საქართველოში. როგორც მან, ასე თქვენ გიმატადით შეგვსწავლათ ქართული ენა და რითაც შეგიძლიათ დაეხმაროთ ჩვენ ხალხს. ღმერთი შეგეწიოს თქვენ ყოველივე საქმეში. მიიღეთ ჩემგან პატივისცემის ნიშნად ეს პატარა ხატი იმ ქალისა, რომელმანაც საქართველოში მოსპო კერპთთაყვანისმცემლობა და ეს ხალხი განანათლა ქრისტეს სწავლა — მეცნიერებით. ეს საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა სწორი ნინო იყოს თქვენი მფარველი და მეოხი ღვთის წინაშე თქვენს ცხოვრებაში. ქალბატონი უარდროვი ემთხვია ამ პატარა ხიტს და ხელზე ეპისკოპოსს გაბრიელს და გამოეთხოვა. გარეთ რომ გამოვიდა, მე მითხრა, რომ ასეთი ძვირფასი საჩუქარი ჯერ არავისაგან მიმიღია. მონახა ჯიბეში პატარა ინგლისური დოგმა, ეს პატარა ბრჭყიალა ხატი გულზე დაიკიდა. ქუთაისში ნაცნობებს რომ შეხვდებოდა, ყველანი ამ პატარა ბრჭყიალა ჯვარს ყურადღებას აქცევდენ ხოლმე. ეს ქალბატონიც მოუყვებოდათ მათ ამ ძვირფას საჩუქრის ისტორიას. სამწუხაროდ ჩვენი ქუთათური „განათლებული ქალბატონებისა და ვაებტონებისათვის უცნობია, ვან იყო ნინა ქართველთ განმანათლებელი და რა მოღვაწეობა მიუძღვის.

დევ. დ. ლამბაშიძე

ასალი ამბები და შენიშვნები.

* * „რუსკ. სლოვო“-ს ოდესიდან დეპეშით ატყობინებენ: სპარსეთის შაჰად ნამყოფი მაჰმედ-

ალი მუყაითად შეუდგა რუსულ ენის სწავლას. ნაშაპარის მეუღლე სალოცველად მეკაში მიდის. ნადედოფლარი უბრალო მლოცველებს გაჰყვება თან, ნაშაპარი ოდესაში რჩება.

* * გაზეთებიდან უკვე ვიცით, რომ ჩენსტახოვში, (ვარშ.გუბ.) იასნოგორსკის მონასტერში, უცნობებმა გაცარცვეს ღვთის მშობლის ხატი. ჩენსტახოვის ღვთისმშობლის ხატი მთელ პოლონეთში განთქმულია და მის თავყანის საცემლად არა თუ პოლონეთიდან, საზღვარ-გარეთიდანაც კი აუარებელი ხალხი იკრიბება. ხატი სულ ძვირფასის ქვებითარის მორთული. ბოროტ განზრახველებს 4 ფუთი ძვირფასი ქვა წაუღიათ. რა საკვირვლია, რომ ღვთისმშობლის ხატის გაცარცვამ ააღლევა ხალხი. ვარშავის მაძებარ პოლიციის უფროსს ყველა კუთხეებში, რუსეთსა და საზღვარ-გარედ, დებეშები გაუგზავნა. ამას გარდა ქურდების პოვნა თავის ნებით ხუთ კაცს უკისრნია და კიდევ შესდგომიან საქმეს. გატაცებულ ძვირფას ნივთებს მილიონ მანეთზე მეტად აფასებენ. რუსეთის სხვა ადგილებში პოლიციამ გამოცდილი აგენტები დაგზავნა. იასნოგორსკის მონასტერს აუარებელი მლოცველი მიაწყდა. თხოულობენ ქურდების აღმოჩენას. ბევრი ძალიან ნაწყენი დარჩენილა საზღვარ-გარეთის პოლიციის პასუხით, დებეშა კი მივიდეთ, მაგრამ საჩუქარს რას მისცემთ ქურდების მპოვნელს, ამას კი არ იტყობინებთო.

* * პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, მთავრობამ გადასწყვიტა ფინლიანდიაში ჯარის ერთი კორპუსი გაგზავნოს. ამ კორპუსში არც პოლონელი და არც სხვა „არა რუსი“ არ შევა, კორპუსში საიმედო პირები უნდა იყვნენ და ისიც სულ რუსებიო.

საზღვაო მინისტრს ბრძანება გაუცია ფინლიანდიის ნაპირებს სასტიკად ადევნეთ თვალ-ყური, რომ ფინლიანდიაში ზღვით იარაღი არ შეიტანონო.


„რუსკ. ვედ.“ სიტყვით ფინლიანდიის იმ საქონელს, რომელიც რუსეთში შემოაქვთ დიდ

ბაჟს დაადებენ, რომ ფინლიანდიელებმა რუსების საქონელს კონკურენცია ვეღარ გაუწიონო.

სახელმწიფო სათაბიროს მემარჯვენეების ფრაქციას გადაუწყვეტია პრემიერმინისტრს მოხსნება წარუდგინოს ფინლიანდიის შესახებ. მემარჯვენეები სტოლიპინს სთხოვენ: გაუქმდეს ფინლიანდიის სეიმი, ფინლიანდიელებს უფლება მიეცეთ თავიანთი წარმომადგენლები იყოლიონ სახელმწიფო სათათბიროში იმ პირობით კი, რომ მათ წარმომადგენლებს მხოლოდ სათათბირო ხმა ექნებათ, ფინლიანდიაში გაუქმდეს ის კანონები, რომლებიც ბექდვითი სიტყვას თავისუფლებას აძლევენ და ფინლიანდიის საქმეთა მინისტრად უსათუოდ რუსი დაინიშნოს.

„რეჩი“-ს სიტყვით, იმ ჯგუფს, რომელიც სცდილობს ფინლიანდიას ვიბორგის გუბერნია გამოაყოს, განუზრახავს ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის მიმხრობა, მაგრამ ამაოდ. როგორც ვიცით, ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის გარდა, ყველა მინისტრები თანახმანი არიან, რომ ფინლიანდიას ვიბორგის გუბერნია გამოეყოს. კოკოვცევის აზრით ხაზინას ფული არა აქვს, რომ ვიბორგის გუბერნია ფინლიანდიას გამოეყოს. ამას გარდა, უთქვამს კოკოვცევის, ფინლიანდიას ვალი აქვს და ეს ვალი კი ფინლიანდიამ ჩვენის თავდებობით აიღო, ეხლა, როდესც ჩვენ ფინლიანდიას ერთ მერვედ ნაწილს ვართმევთ, მოვალეები შეგვაწუხებენ, ფული მოგვეცით, ფინლიანდიას აღარ ვენდობით, რადგან ფინლიანდიას დღეს, თუ ვიბორგის გუბერნია ჩამოაშორეთ, ხვალ სხვა გუბერნიებსაც ჩამოაშორებთო.

* * ქუთაისის გუბერნიის დათვალიერება. კავკასიის ნამესტნიკის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწე სენატორი ვატაცი 6 იანვარს ქუთაისის გუბერნიაში გაემგზავრა. ვატაცი დაათვალიერებს შორაპანს, ჭიათურას, ფოთს, სამტრედიას, ხონს და ქუთაისს.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული ყვირილის მთავარ მოწამეთ ღავით და ძონსტანტინეს ეკკლესიაში, იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს, 29 აგვისტოს 1909 წ.

მძანო ქრისტიანენო! წმიდა მართლმადიდებელი ეკკლესია დღეს მოიხსენებს იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთას. დიდად სასიამოვნო არის, რომ დღეის დღეს უოველთვის მომეტებული რიცხვი იკრბება სალოცავად ტაძარში ამ შესანიშნავ დღეს. სასიამოვნო არის ჩვენს დროში, რადგან დღეს მეტის მეტად გაუგრძილდა გული ჩვენ საღვს სარწმუნოებაზე და ეკკლესიაში სიარული სრულებით საჭიროთ აღარ მიაჩნიათ. დღეის დღეს თუძცა მრავალჯერ მისაუბრნია თქვენთან იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთისა გამო, მაგრამ რამოდენიც უნდს ითქვას იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის შესახებ მეტი არ იქნება და ამისათვის საჭიროდ ვრაცს ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ.

წავითხული სახარებიდან გაიკონეთ თქვენ, რომ ერთ დროს იროდი მეფემ სადილი გაუმართა თავის დაბადების დღესასწაულობის დღეს და ეველა დიდებულნი მიიზატიქა. ამ სადილზე, ქეიფობის დროს, ითამაშა იროდიადის ქალიშვილმა და მეფე იროდის ძლიერ მოეწონა ამ ქალის თამაში. ამ სიამოვნებისათვის ქალს აღუთქვა საჩუქარი და ფიცისცა რასაც ითხოვ ნახევარ ჩემ სამეფოში მოგცემო. ქალი მივიდა დედასთან და ჰკითხა, თუ რა ეთხოვა მას, დედა ამ მოთამაშე ქალისა იუო ცოლი იროდი მეფის ძმის ფილიპსი, რომელსაც წაართვა იგი და ცოლად წაიყვანა. იოანე უშიძრად ამხილებდა მეფე იროდს და ეუბნებოდა არა ჯერ არს ძმის ცოლის შერთვაო. ამისთვის ეს იროდიადი სშირად ურჩევდა მეფე იროდს, რომ მოეკლა იოანე და მისი ენისაგან აღარ მოესმინა მხილება. მაგრამ იროდიმ ვერ გაბედა მისი მოკვლა, რადგან იგი წმიდა კაცი იუო და ხალსი წინასწარმეტყველად რაცხდა მას, მაგრამ ამ ქალის სურვილის ასასრულებლად შეაბორკილა იგი და საპრობილეში ჩააკლო. ეშმაკმა მთლად შეიპერო გული იროდიადის და, აი იმოვა დროც ჯავრის ამოსაყრელად და ურჩია თავის ქალიშვილს, რომელიც ეავდა ფილიპსაგან, მოეთხოვა საჩუქრად თავი იოანე ნათლისმცემლისა ლანგარზე დადებული. მეფე შესწუნდა, მაგრამ, რადგან ფიცით აღუთქვა საჩუქრის მიცემა, აღარ გატენხ თავისი აღთქმა, გაგზავნა მერსლმე მო



კვეთეს თავი საზერობილეში იოანეს და ლან-
 გრით მოართვეს მეფეს, მეფე იროდმა მისცა
 მოთამაშე ქალს და ქალმა მიუტანა თავის
 დედას. აი დრამა, რომელსაც ვერც ერთი
 შესანიშნავი დრამა ვერ შეედრება. დაუკვირ-
 დით კარგად თუ რა კაცი უნდა იყოს ირო-
 დი მეფე ანუ რა დროა ის როცა იროდი
 მეფობს. მეფე ნახევარ სამეფოს აძლევს
 ქალს ერთი თამაშობისათვის. ბოლოს მარ-
 თალი კაცის და შესანიშნავი მქადაგებლის
 თავს თხოულობს მოთამაშე ქალი ლანგარზე
 დადებულს და ამით სურს შური იძიოს მართ-
 ლის თქმისათვის. იგზავნება საზერობილეში
 ჯალათი და სჭრიან თავს განუსჯელად, გა-
 ნუკითხავად, გაუსამართლებლად...

მაღლობა ღმერთს რომ, დღეს ქრისტეს
 სახარებამ იმდენად აღამაღლა ხალხის სწეობა,
 რომ ამისთანა მოქმედების ჩადენა შეუძლებე-
 ლია. ბეჭვდითი სიტუვა, სხვა და სხვა კაცთ
 მოუვარე საზოგადოება და მწერლობა დიდი გა-
 ჭირვებისაგან იფარავს ხალხს და სძირად ახ-
 სნის ჩაგრულთა უსამართლობისაგან...

მაგრამ თუ დავაკვირდებით ჩვენს ცხოვრე-
 ბას მრავალ მიერუებულ ადგილას შევნიშნავთ,
 რომ ზოგიერთი სვინდის დაკარგული ქალბა-
 ტონები დღესაც იროდისავით საქმეს უჭირვე-
 ბენ არა მარტო თვითთულ კაცს, არამედ სძი-
 რად სოფელს, საზოგადოებას და მთელ მაზრა-
 საც. სძირად ზოგიერთი არა კეთილი ქალები
 ისე შეიპყრობენ მოხელეთა გულს, რომ რაც
 სურს იმას ჩაადენინებენ; სძირად ამისთანა

ქალების წყალობით მრავალნი გაურბიან გა-
 ნონიერ სასჯელს, და ხან და ხან თვითონ ეს
 მოხელენიც კი იღუპებიან მათგან.

აბა დავაკვირდით კარგად თუ როგორ ადვილად
 ასერსებენ ქალები მართლ მსაჯულების გაბ-
 რუნდებას, სიძარტლის დაფარვას, და როგორ
 უწყობენ ხელს ბოროტების ჰარჯაშებას...

იროდიანა ფიქრობდა, რომ სამუდამოთ
 მოესწოს სახელი იოანეს ნათლისმცემლისა
 ფიქრობდა, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ
 ქრისტიანები დაივიწყებდნენ იოანეს ნათლისმცე-
 მელს, მაგრამ იოანეს ნათლისმცემელი
 მსესავით ბრწყინავს მთელს დედა მიწაზე
 და მთელ ქრისტიანობის ხალხისაგან სათაუვა-
 ნო და სადიდებელი შეიქმნა, ხოლო იროდი-
 ანა კახდა ქვეყნის დასასრულამდე შესაჩვენებელი,
 საზიზღრად მოსაგონებელი და მოსახსენე-
 ბელი!..

ჩვენც ვეცადოთ, მძანო, კეთილის ცხოვრე-
 ბით შევიქმნეთ ეგელასათვის კეთილ მოსა-
 გონებლად, დავეხმაროთ გაჭირვებულთ და და-
 ჩაგრულთ სიტუვით და საქმით დიდი სასჯე-
 ლიც, რომ მოგველოდეს ამისთვის. ამას კვა-
 ვალებს ჩვენ ქრისტეს სჯული, ამას კვა-
 ვალებს ჩვენ ჩვენი სარწმუნოება, სარწმუნოება
 საქმით აღსრულებული რადგან სარწმუნოება
 უსაქმოთ მკვდარია ამინ.

საჭირო კალენდარული ცნობანი

კვირთაჲს სმის და საცისკრო სახარების ძაჩვიანებელი 1910 წელში

ო გ ე ნ ი.	რიცხვი.	კვირთაჲკ.	ს მ ა.	საღ. სახარ.	ო გ ე ნ ი.	რიცხვი.	კვირთაჲკ.	ს მ ა.	საღ. სახარ.	
იანვარი.	1	—	—	—	ივლისი.	4	4	3	4	
	3	33	8	11		11	5	4	5	5
	6	დღის	დღის.	დღის		18	6	5	6	6
	10	34	1	1		25	7	6	7	7
	17	35	2	2		აგვისტო.	1	8	7	8
24	36	3	3	8	9		8	9		
31	37	4	4	15	10		1	10		
თებერვალი.	7	მ.ღვ.	5	5	22		11	2	11	
	14	უძ.მ.	6	6	29		12	3	1	
	21	დაურ	7	7	სექტემბერი.	5	13	4	2	
	28	ყველ	8	8		12	14	5	3	
მარტი.	7	1 კ.მ.	1	9		19	15	6	4	
	14	2 კ.მ.	2	10		26	16	7	5	
	21	3 კ.მ.	3	11		ოქტომბერი.	3	17	8	6
	25	ხარ.	ღვ.	ღვ.	10		18	1	7	
28	4	4	1	17	19		2	8		
აპრილი.	4	5	2	24	20		3	9		
	11	6	ღვ.	ღვ.	31		21	4	10	
	18	ოღ	გო	მა.	ნოემბერი.	7	22	5	11	
25	2 თ.კ.	ნ	1	14		23	6	1		
მაისი.	2	3	ღ	3		21	24	7	2	
	9	4	ღ	4		28	25	8	3	
	16	5	ღ	8		დეკემბერი.	5	26	1	4
	23	6	ღ	9	12		27	2	5	
	30	7	ღ	11	14		28	3	6	
ივნისი.	6	8	ღვ.	ღვ.	26		29	4	7	
	13	1	8	1						
	20	2	1	2						
	27	3	2	3						



შქმე დღეები რადესაც სახელმწიფო დაწესებულებებში და სასწავლებლებში სწავლა არ არის

იანვარი. 1. ახალი წელიწადი (პარასკევი).
6. ნათლისღება (ოთხშაბათს).
14. დღეობა წმ. მოციქულთა სწორისა ნინო ქართველთ განმანათლებელისა (ხუთშაბათი).

თებერი. 2. მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (სამშაბათი)
26—27 პარასკევი, შაბათი ყველიერისა

მარტი 25. ხარება ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა (ხუთშაბათი).

აპრილი 11. ბზობა (კვირა).
15, 16 17 ხუთშაბათი, პარასკევი და შაბათი ვნების კვირისა.
18 ადღგამა ქრისტესი (კვირა).
18—24 აპრილი ბრწყინვალე კვირიაკე
23 სახელწოდება ხელმწიფე იმპერატორისა და გიორგობა (პარასკევი)

მაისი. 6 დაბადება იმპერატორისა (ხუთშაბათი)
9 წმ. ნიკოლოზ საკვირველ-მოქმედისა (კვირა).
14. გვირგვინოსნება მათი იმპერატორები იდი დიდებულებათა (პარასკევი)
27 ამაღლება უფლისა იესო ქრისტესი (ხუთშაბათი).
25 იმპერატორისა დაბადების დღე-სასწაული (სამშაბათს).

ივნისი. 6. სული-წმიდის გარდმოსვლა (კვირა).
7. სული-წმინდის დღეობა (ორშაბათი).
29. წმ. მოციქულთა პეტრესი და პავლესი (სამშაბათი).

ივლისი 22 სახელწოდება ქვრივი იმპერატორისა (ხუთშაბათი).
30 მემკვიდრის დაბადების დღეობა (შაბათი).

აგვისტო. 6. ფერისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. (პარასკევი).
15. მიძინება ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა (კვირა).

29 თავის კვეთა იოანე ნათლის მცემლისა (კვირა).

30 ალექსანდრე ნეველის დღეობა (ორშაბათი).

სექტემბ. 8 შობა ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა (ოთხშაბათი).

14 მსოფლიო ამაღლება პატიოსანისა ჯვარისა (სამშაბათი).

26 მიძინება წმ. მოციქულისა და მახარობელისა იოანე ღვთის მეტყველისა (კვირა).

ოქტომბ. 1. დღესასწაულობა წმ. სვეტისა ცხოველმყოფელისა და კვართისა უფლისა (პარასკევი).
5 სახელწოდება მემკვიდრე ცესარევიჩისა (სამშაბათი).

21. ტახტზე ასვლა ხელმწიფე იმპერატორისა (ხუთშაბათი).
22 დღესასწაული ყაზანის ღვთის მშობლის ხატისა (პარასკევი).

ნოემბერი. 14 დაბადება მქვრივი იმპერატორისა (კვირა).
21 ტაძრად მიყვანება ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა (კვირა).


დეკემბ. 6 სახელწოდება ხელმწიფე იმპერატორისა (ორშაბათი).
25—27 შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (შაბათი).

ბრეუსოვის კალენდრის წინასწარმეტყველება ამიღზე.
გაზაფხული იქნება ცივი და უსარგებლო ყოველგვარ ხეხილებისათვის.

ზაფხული, არა სასიამოვნო და მოსავალი საშუალო.

შემოდგომა, კარგი და მოსავალიც ზოგიერთ ადგილებზე არა ცუდი.

ზამთარი, კარგი, წლის გამთავეს პური გაიფუდება.



ი ს ყ ი დ ე ბ ი ა ნ

დეკანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, უკერილაში—
«მწყემსი»-ს რედაქციაში.

1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. **ლოცვანი** ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანის სრულს შევთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვე. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყლით 25 კ. და უყდოთ . . . 20 კ.
2. წესი სწეულის ზიარებისა და ვრცელი პანაშვილისა, ფასი . . . 10 კ.
3. **სოცხალთა** და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყლით) ფ. . . 20—
4. **ქონდაკი** იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 30 კ. კარგი ყლით . . . 50 >
5. **შემოკლებული ლოცვანი** ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . 5 >
6. **საქართველოს ეკლესიის წმიდანები** რუს. 5 „

2. სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. **ღარიგება** საღმრთო სჯულის სწავლებაზე, 30 კ. პირველი ნაწილი უყდოთ 25 კ. ყლით 30 კ.
2. **დაწყებითი გაკვეთილები** საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
3. **ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება**—ფასი . . . 30 კ
5. **მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს** საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყლით . . . 20 კ

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. **ახალა კარაბაღიანი**, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწო-

- ნებული და ნება-დართულია კავკასიის საეპიმო რჩევასაგან ყლით ფასი . . . 1 მ. უყდოთ . . . 60 კ.
2. **ღარიგება მხედველობის დაცვისა და თვალების მოვლაზე**, ფასი . . . 10—
3. **ჯანმრთელობა და ავადმყოფობა** ექიმის საუბარი . . . 5 კ.
4. **შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი**,

1. **მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო**, ქართ. განმანათლებელი, ფასი . . . 15 კ.
2. **ბელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა** მეფის დავით აღმაშენებ. იგივე რუსულ ენაზე . . . 15 კ. 20 „
3. **შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა** ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი . . . 5 კ.
4. **მთავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტარი**.—ფასი . . . 5 კ. იგივე რუსულ ენაზე . . . 10 კ.
5. **პარძიის მონასტერი**, ფასი . . . 5 კ.
6. **მარტვილის მონასტერი** . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. **ღვთის-მშობლის დაბადება**, სურათით . . . 2—
2. **ტაძრად მიყვანება** ღვთის-მშობლისა, ფ. . . 2—
3. **ამაღლება** პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით . . . 2—
4. **შობა** უფლისა . . . 2 კ.
5. **პირველი უფლისა**, სურათით.—ფასი . . . 2—
6. **ხარება** ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა . . . 2—
7. **ბზობა** სურათით—ფასი . . . 2—
8. **აღდგომა** სურათით—ფასი . . . 2—
9. **მიძინება** ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, . . . 2—
10. **ხელთუქნელი ხატის ისტორია** . . . 3 კ.
6. **მოწამენი**, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავი საქარ-

თველოს მეფენი და დედოფალნი:

1. **წმიდა მოწამე რაჭდენი**, სურათით, ფასი . . . 3 კ.
2. **წმ. ნინო** ქართველთ განმანათლებელი . . . 2—
3. **მეფე დავით** მესამე აღმაშენებელი . . . 5—
4. **თამარ მეფე**, სურათით . . . 5—



- 5. გიორგი მთაწმიდელი 10—
- 6. იოანე ზედაზნელი 5—
- 7. შუშანიკა 2—
- 8. ქეთევან დედოფალი 2—
- 9. არჩილ და ლუარსაბი 5—
- 10. წმიდა ნინო რუსულაძე 8—

7. რელიგიური და სწავლებითი შინაარსის წიგნები და საუბრები:

- 1. წმიდანი ალფრედ-მთავარი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანე მოძრაპირი, სუბათებით — ფასი 5—
- 2. როგორ უნდა ემარხულობდეთ — ფასი 2—
- 4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი 5—
- 5. სიკვდილი მართლისა, კონსტანტინე-ტიმის მკვლელობის წიგნი 5—
- 6. ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბარი შესწავლა იესო ქრისტესი 3—
- 7. შეიღების მოვალეობა მშობელთადმი 3—
- 8. მშობლების მოვალეობა შვილთადმი 3—
- 9. ვინ არიან ჩვენი ცხოვრების მტერი და როგორ უნდა ვესძლიოთ მათ 3—
- 10. იუნჯებით საუნჯესა ცათაშინა 3—
- 11. საუბარი ღვთის სიტყვაზე 3—
- 12. — შრომაზე 3—
- 13. სამგვარი სიკვდილი 5»

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

- 1. მუჟე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
- 2. მათერი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. 5—
- 3. სიბრძნე იოანე ძისა ზირაქისა, სურათით. 5—
- 4. იოსები 5—
- 5. მრავალ წამებული იოები 5 კ.

11. მსატკრობანი სას. და საერო მოღვაწეთა.

- 1. შოთა რუსთაველი. 25 კ.
 - 3. თამარ მეფე 25 კ.
- იმექონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები ად ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

ხატები და მსატკრობანი.

იმექონებიან პატარა იაფ-ფასიანი-ხატები ფიცარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის მაცხოვრის, ივერიის ღვთ-ს-მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართლო-ში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდება ამასთან იმექონება სქელ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოსი 5 კ. ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

იმექონება აგრეთვე მრავალი პატარა გულ საკაღი ხატები ფერგადუვალი ლითონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესა, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ვინც ასს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზავნით დაეთმობა სამ მან. ესეთი იმექონებიან ვერცხლისა, ფასი 40 კ.

ყურნალის „მწყემსი“-ს

ს ტ ა მ ბ ბ

(დ. დ. ლამბაშიძისა)

იღებს ყოველ გვარ საბეჭდავ ზაკაზებს. სტამბა ასრულებს სამუშავოს სუფთად და დროზე, ძლიერ დაკლებულ ფასებში.

სტამბა იმყოფება დაბა ყვირილაში ლამბაშიძის საკუთარ სახლებში.

Дозволено Цензурою 9 Января 1910 года г. Кутаись

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე, 9 იანვარი 1910 წ.

სტამბა ყურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ლამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.